აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№19 (24.899) ხუთშაბათი, 3 - 4 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, ზოგან - ძლიერი, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 3-8, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 750 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

კრიალოსა N იუსი

„ბირთვული საფრთხე არის ფსიქოლოგიური ომი. თუ გადავხედავთ ვლადიმირ პუტინის წარსულს, დავინახავთ, რომ ის თავდასხმით ფსიქოლოგიურად მანიპულირებს. ის უფრო ძლიერია ფსიქოლოგიურ შეიარაღებაში, ვიდრე კლასიკური ომის წარმართვაში“, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა. პარიზში, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან შეხვედრის შემდეგ იგი ბრიუსელს ეწვია, სადაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს ესაუბრა.

* * *

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის - კახა კუჭავას ადგილმონაცვლის გიორგი ცაგარეიშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხს პარლამენტმა მხარი ერთხმად დაუჭირა. შესაბამისი დადგენილების პროექტი პლენარულ სხდომაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა წარადგინა. მისი თქმით, წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გიორგი ცაგარეიშვილისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების მინიჭება.

* * *

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, უკრაინელთა დასახმარებლად სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა. „ყველას გვინდა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ახლა უჭირთ და მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, მაქსიმალურად ამოვუდგეთ გვერდში. სისხლის ჩაბარება და სისხლის პროდუქტების გაგზავნა მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია იმ რიგი ღონისძიებებისა, რისი განხორციელებაც უკვე დავიწყეთ“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით სერგეენკომ.

* * *

რუსთაველის გამზირზე პირველ მარტს აქცია გაიმართა, სადაც პარტია „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ აღნიშნა, რომ 2 მარტს დილის 8 საათიდან მთავრობის ადმინისტრაციასთან შეიკრიბებოდნენ და პრემიერ-მინისტრს შენობაში შესვლის უფლებას არ მისცემდნენ, თუმცა გეგმა შეიცვალა. „ჩვენ უნდა დავიწყოთ უკრაინის ქმედითი დახმარება და ვისარგებლოთ იმ შესაძლებლობით, რომ ევროკავშირში მოვითხოვოთ წევრობა... ყველა მოქალაქესთან, რომელიც არის ძალიან გაბრაზებული, ჩვენ გვექნება კომუნიკაცია, რომ ერთად წარვმართოთ ეს პროცესი“, - განაცხადა გუშინ ხოშტარიამ.

მოამზადა
ია შველიძემ

ბიჭოლა ქალბატონ ლელეს!

„ოღონდ დამთავრდეს ეს ომი ხვალ დილით და მე დამბრალდეს, რომ ეს რეზოლუცია არ მივიღე“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოს საგაზაფხულო სესია, რომელიც ბიუროს სხდომით გაიხსნა, ბოდიშებით დაიწყო როგორც ელგუჯა ბაგრატიონმა, ისე მმართველმა გუნდმა. საზოგადოებას დეპუტატებმა ბოდიში იმ სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების გამო მოუხადეს, რაც რამდენიმე დღის წინ მათ უმაღლესი საბჭოს სხდომიდან მედიის საშუალებით იხილეს

დეპუტატების განცხადებით, ის, რაც მოხდა და როგორც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, იყო ძალიან ცუდი საყურებელი და აღარ უნდა განმეორდეს. მათივე თქმით, ახლა დროა, ერთობლივი ძალებით ყველაფერი გააკეთონ უკრაინის და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოუცხადა სოლიდარობა უკრაინელ ხალხს და განაცხადა, რომ აჭარა უკრაინის დამეგობრებულ რეგიონებსა და ქალაქებს ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს. დავით გაბაიძემ საზოგადოებას სთხოვა, მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რომელიმე უკრაინელს, რომელიც ამჟამად ბათუმში იმყოფება, სჭირდება დახმარება, რათა მათ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი დაეხმაროს და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოს ისინი.

სხდომაზე განიხილეს „უკრაინის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა. დეპუტატი, საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, მოითხოვდა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მოეწვია რიგგარეშე სხდომა, სადაც დაჩქარებულად განიხილავდნენ რეზოლუციის მიღების საკითხს. „პროექტი, ბიუროს გადაწყვეტილებით, მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში განიხილება“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ.

- დღევანდელი ბიუროს სხდომით გაიხსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესია. სამი საკითხი იყო დღის წესრიგში, აქედან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია, არის იმ რეზოლუციის მიღება, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს წარმოდგენილი. ჩვენმა კოლეგებმა იკამათეს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რაზე იკამათეს, ვერ ვხვდები, გამომდინარე იქიდან, რომ ამ რეზოლუციას მიეცა რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა, ბიურომ გადასცა კომიტეტებს და ფრაქციებს განსახილველად. რეზოლუციის შინაარსობრივი ნაწილი არის, რომ რუსეთმა განახორციელა შეჭრა უკრაინაში და ეს არის აგრესიის აქტი, შესაბამისად, სოლიდარობა გამოვუცხადოთ მათ. ეს განცხადებების დონეზე, მათ შორის მე, გაკეთებული გვაქვს უკვე არაერთხელ, ყოველდღე გვიწევს ამაზე საუბარი მეც და ჩემს კოლეგებსაც. ხაზს გავუსვამ, დღესაც ვადასტურებ, სოლიდარული ვარ იმის, რაც აქამდე განმიცხადებია, ეს არის განცხადება ერთი კონკრეტული პირის, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს აჭარის უმაღლეს საბჭოს. თუ აქ საუბარია იმაზე, რომ მივიღოთ სამართლებრივი დოკუმენტი, სამართლებრივი დოკუმენტის მიღებას აქვს თავისი პროცედურები. შემდგომი ნაწილი არის კომიტეტებში განხილვა, შემდეგ - კიდევ ერთი ბიურო და შემდეგ - პლენარული სხდომა. ამაზე ჩქარა აღნიშნული საკითხი ვერ იქნება განხილული. თუ საუბარია იმაზე, რომ ღიად დავაფიქსიროთ, რას ვფიქრობთ, ვაფიქსირებ. პოზიცია იმის შესახებ, რომ თუ ხვალ არ მივიღებთ ამ რეზოლუციას, მერე ომი დამთავრდება და ვიღას აინტერესებს ეს დოკუმენტი, ოღონდ დამთავრდეს ეს ომი ხვალ დილით და მე დამბრალდეს, რომ აღნიშნული რეზოლუცია არ მივიღე, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

უმაღლეს საბჭოში რეზოლუციის წარმდგენის, ელგუჯა ბაგრატიონის განცხადებით, „ქართული ოცნება“ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადებები, მაქსიმალურად ცდილობს, ღია მხარდაჭერა არ გამოხატოს უკრაინის მიმართ.

- ტექსტში ღიად გვიწერია, რომ რუსეთი არის აგრესორი, რომელიც მასშტაბურად შეიჭრა უკრაინაში და იქ მიმდინარეობს გენოციდი, ამიტომ აუცილებლად უნდა დაუჭიროს საქართველომ რეზოლუციას მხარი. მგონია, რომ რაღაც მიზეზებს მოიგონებს „ქართული ოცნება“ მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადებები და ვვარაუდობ, ისინი არ დაუჭერენ ჩვენ მიერ წარდგენილი რეზოლუციის მიღებას მხარს, - განაცხადა ელგუჯა ბაგრატიონმა.

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს

პროგრამის ბენეფიციარები 18 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

„დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ გადამოწმდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება," - აცხადებენ უწყებაში.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისცენტრებს.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ სამინისტროს ცხელ ხაზს - 15 05.

ანკა ჩხიკვაძე

აკავრეთაზე ჰესი შენდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საუკუნეებია უქმად იკარგება მერისის ხეობაში მდინარე აკავრეთას ენერგია. ბოლო წლებში ნუგზარ გოგიტიძემ და სხვებმა აქ საკალმახე მეურნეობა მოაწყვეს, ჰესის მშენებლობით კი არავინ დაინტერესებულა. ამ საშვილიშვილო საქმეს სათავე შპს „ბაჯი ტრეიდის" ხელმძღვანელობამ დაუდო. წლევანდელ უხვთოვლიან და ცივი ზამთრის დროსაც თენგიზ ბაკურიძესა და მის პარტნიორებს სამუშაოები არ შეუჩერებიათ.

- თითქმის ყოველდღე ბათუმიდან მერისის ხეობაში მივდივარ, - გვითხრა თენგიზმა. 12 კვალიფიციური სპეციალისტი გვყავს დასაქმებული. მშენებარე ჰესის დადგმული სიმძლავრე 2 მეგავატი იქნება. 2,3 კილომეტრზე გამშვები მილები ჩაეწყობა, სადაწნეო გვირაბის სიმაღლე 54 მეტრია.

აჭარის მთიანეთში ერთი მცირე ჰესი რამდენიმე წელია მოქმედებს, იგი მდინარე ჩირუხისწყალზეა აგებული და დანიშნულებას ამართლებს. თენგიზ ბაკურიძეს ამ ჰესთანაც ჰქონდა შეხება. სწორედ მისი აქტიურობით ჩადგა იგი მწყობრში. მშენებელს იქ მიღებული გამოცდილება სასიკეთოდ წაადგება. აკავრეთაზე მშენებარე ობიექტი „შევაბურჰესის" სახელით შევა ქართულ ენერგეტიკაში. მის დასრულებას წლის ბოლომდე აპირებენ.

მედმუშაკები საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის სოფლებში თოვლის საფარმა თანდათან იკლო. უკვე სოფლიდან სოფელში, ცალკეულ უბნებში გადაადგილება საშიში აღარაა. პროფესიული საქმიანობა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრისა და 36 თემის სამედიცინო პუნქტის პერსონალს, რომელიც მკაცრი კლიმატის პირობებში, საცალფეხო ბილიკებით მიდიოდა ვაქცინაციის ჩასატარებლად

პაციენტები ემადლიერებიან გოგაძეების, შორეული ნაღვარევის, წყაროთის, გომარდულის, ფურტიოს, ნიგაზეულის, კვიახიძეების, ნენიის, ტაკიძეების, ცხემლისის, ხაბელაშვილების, ჭალის, ცინარეთის სამედიცინო პუნქტებისა და ბარათაულის, ოლადაურის, ზამლეთის, დღვანის სამედიცინო ცენტრების მუშაკებს.

- სტიქიის შემოტევის პირობებში მძიმე დღეები გავიარეთ, - გვითხრა ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დირექტორმა მერაბ დავითაძემ. - ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალი საქმეს პასუხისმგებლობით უდგებოდა, ჩვენგან გაცემული მედიკამენტები ავადმყოფებთან მიჰქონდათ, შრომა გვინდა დავუფასოთ მძღოლებსაც.

დახმარება უკრაინას - ბათუმიდან

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

უკრაინელი ხალხისთვის ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება გრძელდება ბათუმში ორ მისამართზე: ფარნავაზ მეფის ქუჩის № 46-სა და ვახტანგ გორგასლის ქუჩის № 54 ნომერში

24 საათის განმავლობაში ქართველი, უკრაინელი და პოლონელი მოქალაქეები ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულები, სპეციალური შტაბებში შესულ ნივთებს ახარისხებენ და უკრაინაში გასაგზავნად ამზადებენ. თუმცა, ამ ეტაპისთვის ჯერ უცნობია, როდის მოხდება ნივთების გაგზავნა უკრაინაში. ორგანიზატორები მადლობას უხდიან თითოეულ ბათუმელს გაწეული დახმარებისთვის.

შტაბში შეგზავნილ მედიკამენტებთან, პროდუქტებთან და ტანსაცმელებთან ერთად მოქალაქეები ტოვებენ სამახსოვრო ნახატებს უკრაინელი პატარებისთვის.

გერმანული იარაღი უკრაინაში ჩავიდა

გერმანიიდან გაგზავნილი იარაღი უკრაინელი სამხედროების ხელშია - ინფორმაციას გერმანული საინფორმაციო სააგენტო DPA ავრცელებს. დახმარება მოიცავს 1 000 ერთეულ ტანკსაწინააღმდეგო იარაღს და 500 „სტინგერის" ტიპის სარაკეტო სისტემას.

შეგახსენებთ, ბერლინმა რამდენიმე დღის წინ პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ უკრაინას იარაღს მიაწვდიდა. „ჩვენი სამყარო განსხვავებულია პუტინის აგრესიული ომის შემდეგ. ჩვენ არ ვართ უძლურები, სწორედ ამიტომ დავეხმარებით თავიანთი ქვეყნისთვის მებრძოლ უკრაინელ ჯარისკაცებს", - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა.

ამირან გურიელიძე

ამბები

რეგისტრაცია - ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 1 მარტს 10:00 საათზე დაიწყო და 4 აპრილის 18:00 საათამდე გაგრძელდება.

რეგისტრაცია მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონულად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე online.naec.ge.

აბიტურიენტთა რეგისტრაცია წელსაც რამდენიმე ეტაპად ჩატარდება.

პირველ ეტაპზე აბიტურიენტი ვალდებულია, შეავსოს პირადი მონაცემები, აირჩიოს საგამოცდო ქალაქი, ჩასაბარებელი საგნები და, საჭიროების შემთხვევაში, მონიშნოს სპეციპირობა;

საგნის შეცვლა ან დამატება, ასევე გამოცდის ენის შეცვლა აბიტურიენტებს 14 აპრილის 18:00 საათამდე შეეძლებათ;

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა გამოსაცდელებს აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით ექნებათ.

2022 წლის სიახლეებს, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, ხშირად დასმულ კითხვებსა და საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მონაწილეები აბიტურიენტთა ცნობარში გაეცნობიან.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასური (ერთი გამოცდისათვის) 10 ლარია. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა, აბიტურიენტი ეკრანზე ხედავს შესაბამის შეტყობინებას და ვედარ აგრძელებს რეგისტრაციას).

თუ აბიტურიენტი რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ცენტრს განცხადებით 4 აპრილის 18:00 საათამდე მომართავს, მას თანხა უკან დაუბრუნდება. რეგიონებში განცხადება მიიღება საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, ასევე ელექტრონულად ფოსტაზე: gancxadebebi@naec.ge (ელექტრონულად განაცხადის გამოგზავნის დეტალური ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე).

აბიტურიენტებმა, რომლებსაც ესაჭიროებათ სპეციფიკური საგამოცდო გარემოს შექმნა, რეგისტრაციის დროს უნდა მონიშნონ - „სპეციალური პირობები" და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 14 აპრილის 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100).

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

„უკრაინამ შეძლო ევროპის გამოფხიზლება, დასავლეთს სამყარო სხვანაირად დაანახა და მსოფლიო გააერთიანა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი ფართომასშტაბიანი ომი, რომელიც ახლა უკრაინაში მიმდინარეობს, ევროპას არ ახსოვს. მერვე დღეა გააფთრებული ბრძოლებია უკრაინაში, სამშობლოს დამცველები იგერიებენ მომხდურ მტერს. როგორც ჩანს, რუსეთმა უკრაინული სახელმწიფოს მთლიანად განადგურება და ხელისუფლების შეცვლა განიზრახა, რაც მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს. დასავლეთი გამოფხიზლდა, რუსეთს მკაცრი, უპრეცედენტო ეკონომიკური, პოლიტიკური და სპორტული სანქციები დაუწესა. ჯერჯერობით რუსეთი უკან არ იხევს, უკრაინა თავგანწირვით იბრძვის, ანგრევს კრემლის უძლეველობის მითს, დასავლეთი კი ოკუპანტის სამაგალითო დასჯას აანონსებს. რა მიზანი დაისახა რუსეთმა, რა სტრატეგია შეიმუშავა დასავლეთმა, დაახლოებით როგორ განვითარდება მოვლენები? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ლინგვისტიკა-დიპლომატიურ დისკუსში) **ლაშა ბოლქვაძე,** *რომელიც ამავე უნივერსიტეტში მოწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

- რას იტყვით რუსეთ-უკრაინზე ომზე?

- პირველ რიგში, მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო უკრაინელ ხალხს და გამძლეობა ვუსურვო. უკრაინა ჩვენი გულწრფელი და მტკიცე მეგობარი ქვეყანაა. მე მკაცრად ვგმობ რუსეთის დაუფიქრებელ ნაბიჯს უკრაინის წინააღმდეგ. მიუხედავად დიპლომატიური ძალისხმევისა, რუსეთმა აირჩია აგრესიის გზა. რაც დღეს უკრაინაში ხდება, ნებისმიერმა ცივილიზებულმა ადამიანმა უნდა დაგმოს. მათი მდგომარეობის ჩვენ - ქართველებს ყველაზე კარგად გვესმის. მჯერა, საბოლოოდ უკრაინაც და საქართველოც გაიმარჯვებს.

- დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღებაა უკრაინისკენ მიპყრობილი, მოსკოვმა არა მხოლოდ აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა, არამედ უკრაინას ომი გამოუცხადა, ეს რა დასკვნის საფუძველს იძლევა?

- პუტინის სურვილია, მის მიერ აღიარებული ტერიტორიები შემოიერთოს, აღადგინოს საბჭოთა კავშირი და ნებისმიერ ხერხს მიმართავს ამის გასაკეთებლად, რასაც ის არც მალავს.

- რუსეთის ჯარები ბომბავენ უკრაინის ქალაქებს, მოსკოვის მიზანი მხოლოდ მარიოპულოს, ოდესის, ხარკოვის, კიევის დაპრობაა, თუ მისი მადა მთლიანად უკრაინაზე კონტროლის დამყარებას წვდება?

- ერთია დასახლებული პუნქტის აღება და მეორეა შემდეგ მისი გაკონტროლება. მისთვის უფრო სასიამოვნო და მარტივია, უკრაინაში შეარჩიოს და ჰყავდეს ისეთი თავკაცები, როგორებიც არიან ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო და ჩენჩენთის პრეზიდენტი კადიროვი.

- აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა რუსეთის ქმედებების საპასუხოდ განაცხადა, რომ მსოფლიო მას საკადრის პასუხს გასცემს...

- ამერიკისა და დასავლური ქვეყნების ქმედებები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ დღითი დღე მკაცრდება, რაც რუსეთს ახლო მომავალში სრულ იზოლაციაში მოაქცევს. აუცილებლად უნდა გამონახოს დასავლურმა ქვეყნებმა ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც რუსეთს უკან დახევას აიძულებს.

- აშშ-სა და ევროკავშირის მიერ მოსკოვის მიმართ დაწესებული სანქციები რამდენად დააზარალებს რუსეთს მოკლევადინ და გრძელვადიან პერიოდში?

- დაწესებული სანქციები ნიშნავს რუსეთის გლობალური ეკონომიკიდან გარიყვას. მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე უკვე აისახა რუსული რუბლის კურსის რეკორდულად დაბალ დონეზე დაცემა. მსხვილი რუსული კომპანიების აქციები ევროპაში გაიყინა, მნიშვნელოვნად დაეცა მათი აქციები რუსეთშიც, ევროზონის საბანკო და მსოფლიო ფასიანი ქაღალდების ინდექსები შემცირდა, ნავთობზე ფასები მკვეთრად გაიზარდა, ინვესტორებმა პირდაპირ დოლარის, შვეიცარიული ფრანკის და იაპონური იენის უსაფრთხო ზონაში გადაინაცვლეს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით აჩვენეს რუსეთს, რომ თუ არ შეწყვეტს აგრესიულ მოქმედებებს, მოკლევადინ და გრძელვადიან პერიოდშიც ეს მას ძვირი დაუჯდება.

- რუსეთზე ზემოქმედებისთვის გერმანიამ აშშ-ის მხარდაჭერით შეაჩერა „ჩრდილოეთ ნაკად 2-ის“ ამოქმედება, ნიშნავს თუ არა ეს, რომ უკრაინამ გამოაღვიძა ევროპა გეოპოლიტიკის თვალსაზრისით?

- დღეს დასავლეთისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს. ვფიქრობ, უკრაინამ შეძლო ევროპის გამოფხიზლება, რამაც გამოიწვია დასავლეთის სწრაფი შემობრუნება, მას სამყარო სხვანაირად დაანახა და მსოფლიო გააერთიანა.

- რუსეთის ამბიციების გასანეიტრალებლად და უკრაინის სუვერენიტეტის მხარდასაჭერად მოხალისეების ჩართულობაზე რას იტყვით?

- ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის მიერ, თავისი შესაძლებლობებით, უკრაინის მხარდაჭერა - ეს იქნება მატერიალური, სულიერი თუ ფიზიკური შესაძლებლობები, ამიტომ მივესალმები მათ ასეთ თავდადებულ გადაწყვეტილებას, რადგან ეს არა მხოლოდ უკრაინას ან საქართველოს, არამედ მსოფლიოს ომია დამპყრობელი, აგრესორი, დაუნდობელი პუტინის წინააღმდეგ.

- აშკარად ვხედავთ, რომ რუსეთს სურს, მსოფლიოს თავისი წესრიგი უკარნახოს...

- კრემლის პირველი და მთავარი მიზანია, ყველა ხერხით ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნების ევროატლანტიკურ და ევროპულ მისწრაფებებს. ასევე, მისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებზე რუსული გავლენის გავრცელება.

- დღევანდელ ვითარებაში საქართველო როგორ უნდა გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ ურთულეს გამოწვევებს? რა უნდა მოიმოქმედოს, უკრაინისა და, განსაკუთებით, საკუთარი ინტერესები რომ დაიცვას?

- საქართველომ ყველა დონეზე უნდა დაფიქსიროს მტკიცე მხარდაჭერა უკრაინელი ხალხისადმი. პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა იყოს აზრთა კონსოლიდაცია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. უკრაინაში არსებული პრობლემა ჩვენთვის ნაცნობია, გვაქვს მსგავსი გამოცდილება და ყველაზე ახლოსაა უკრაინელი ხალხის ტკივილი ჩვენთვის. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი დიპლომატიური, პოლიტიკური და ყველა რესურსი მეგობარი ქვეყნის მხარდასაჭერად.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ რუსეთი შეძლებს უკრაინის დამორჩილებას, მორიგი სამიზნე საქართველო იქნება...

- უკრაინის დამორჩილება, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ურთულესია, რაც კარგად გააცნობიერა პუტინმა მას შემდეგ, რაც ნახა უკრაინელი ხალხის თავდადება, ერთსულოვნება და შეუპოვრობა. ეს ნათლად გამოჩნდა ბირთვული იარაღით მუქარის ფონზე. უკრაინაში მიღებული შედეგები, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს საქართველოზეც. საქართველოსა და უკრაინის საკითხი მსოფლიოს დიდ ყურადღებას იპყრობს, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია პუტინისთვის.

- დაბოლოს, მსოფლიოში დაძაბული ვითარების ფონზე, რამდენად არის შესაძლებელი, რომ საქართველოსთვის ევროკავშირისა და ნატოს კარი გაიღოს?

- სწორედ ახლაა ის მომენტი, როცა დასავლეთმა შესაბამისად უნდა შეაფასოს უკრაინისა და საქართველოს მტკიცე სურვილი ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისა და გადადგას კონკრეტული ნაბიჯი. ეს რუსული აგრესიის საუკეთესო პასუხი იქნება. საქართველო და უკრაინა ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ევროპული ოჯახის წევრები გამხდარიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში არის ოკუპირებული ტერიტორიები და კიდევ ბევრია გასაკეთებელი დასავლურ საფეხურზე ასასვლელად, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება მათთვის იქნება ყველაზე დიდი დახმარება, რაც ძალიან დიდ დაბრკოლებას შეუქმნის რუსეთს.

> *„მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე უკვე აისახა რუსული რუბლის კურსის რეკორდულად დაბალ დონეზე დაცემა. მსხვილი რუსული კომპანიების აქციები ევროპაში გაიყინა, მნიშვნელოვნად დაეცა მათი აქციები რუსეთშიც, ევროზონის საბანკო და მსოფლიო ფასიანი ქაღალდების ინდექსები შემცირდა, ნავთობზე ფასები მკვეთრად გაიზარდა, ინვესტორებმა პირდაპირ დოლარის, შვეიცარიული ფრანკის და იაპონური იენის უსაფრთხო ზონაში გადაინაცვლეს*

უკრაინა – თავისუფლებისთვის ბრძოლის მსოფლიო ცენტრი

„მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მე-7 დღე რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. ჩვენი მეომრები ლომებივით იბრძვიან ყველა მიმართულებით და მტკიცედ აძლიერებენ თავდაცვას. მტერი ძალებს კარგავს, ცალკეულ მონაკვეთებზე კი იძულებულია ტაქტიკურად უკან დაიხიოს. ამავდროულად, ათი ათასობით რეზერვისტით ივსება ჩვენი არმიის რიგები. უკრაინისკენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოდის იარაღი, მთავარი კი ის არის, რომ დაბნეულობა, რომელიც ბევრ ადამიანს ჰქონდა პირველ დღეებში, შეიცვალა თავდადებით“, - განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა. მისი თქმით, ყველას ესმის, რომ უკრაინელები ბრძოლას აწარმოებენ საკუთარი მიწისა და მომავლისთვის და მტერს ამ დანაშაულს არ აპატიებენ - უკრაინის ქალაქებზე სარაკეტო დარტყმებისთვის აუცილებლად დაისჯებიან ჰააგაში.

„რკინის ფარდა სულ უფრო მეტად ეშვება აგრესორზე. მსოფლიო კომპანიები ტოვებენ რუსეთს, რადგან არ სურთ ურთიერთობა ჰქონდეთ სისხლიან ფულთან. რუსეთმა, ფაქტობრივად, დეფოლტი გამოაცხადა. ბევრმა ცივილურმა ქვეყანამ რუსეთს ცა დაუკეტა, ამავდროულად უკრაინა სულ უფრო ძლიერდება. ევროპარლამენტმა მიიღო უკრაინის განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ“, - განაცხადა შმიგალმა.

პრემიერის თქმით, „ახლა უკრაინა არის თავისუფლებისთვის ბრძოლის მსოფლიო ცენტრი“. მანვე აღნიშნა, რომ სამთავრობო გუნდი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით კიევში იმყოფება და არსად წასვლას არ აპირებს.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ევროკავშირი უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეოთხე პაკეტს ამზადებს. ამის შესახებ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ შალენბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, 4 მარტს გაიმართება ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან. შალენბერგის განმარტებით, ახალი სანქციები შეეხებათ მსხვილ რუს ბიზნესმენებს, ე. წ. ოლიგარქებს, თუმცა მათი კონკრეტული ვინაობა არ დაუსახელებია. მანამდე ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი არ აწარმოებს ომს რუსეთთან, თუმცა მიმდინარე სიტუაციაში მხარს უჭერს უკრაინას. ევროკავშირის დიპლომატებმა ახალი სანქციების შემოღებას დაუჭირეს მხარი, ასევე, ბელარუსის წინააღმდეგ, რომელიც უკრაინაში რუსეთის შეჭრას ემხრობა.

* * *

ევროპა უკრაინელ ლტოლვილებს დაუყოვნებლივ შესთავაზებს თავშესაფარს, ყოველგვარი პროცედურების გარეშე, - განაცხადა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნენსი ფეზერმა. „ვეხმარებით სწრაფად და ბიუროკრატიის გარეშე. უკრაინიდან ლტოლვილებს არ სჭირდებათ თავშესაფრის მოთხოვნა, ისინი დაუყოვნებლივ მიიღებენ დახმარებას ევროკავშირში სამ წლამდე ვადით, - განაცხადა მან. მინისტრის განმარტებით, უკრაინელი ლტოლვილები ისარგებლებენ ასევე სამედიცინო დაზღვევის პაკეტით და მხარდაჭერით შრომით ბაზარზე. გაეროს მონაცემებით, ბოლო ექვსი დღის განმავლობაში უკრაინიდან 660 ათასზე მეტი ადამიანი გავიდა მეზობელ ქვეყნებში. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ თუ ასეთი ტემპი შენარჩუნდა, ეს იქნება ასწლეულის ყველაზე დიდი კრიზისი.

* * *

რუსეთი გეგმავს, უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ იანუკოვიჩი გამოაცხადოს, რომელიც მინსკში იმყოფება - ამის შესახებ უკრაინული მედია წერს. ცნობისათვის: უკრაინაში იანუკოვიჩის წინააღმდეგ არაერთი საქმეა აღძრული. ის უკვე ნასამართლევია სამშობლოს დალატისთვის და დაუსწრებლად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

* * *

კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ უკრაინელებისადმი მორიგ ვიდეომიმართვაში განაცხადა, რომ მტერი სულ უფრო უახლოვდება დედაქალაქს. „ჩვენ ვემზადებით და დავიცავთ ჩვენს ქალაქს. მოვუწოდებ ყველა კიეველს, გთხოვთ, ნუ დაკარგავთ გამძლეობას, ნუ დაუჯერებთ დეზინფორმაციას. მტერი ავრცელებს არაერთ ტყუილს, რათა გატეხოს უკრაინელები. ენდეთ მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს. კიევი მედგრად დგას და ასე გააგრძელებს. ჩვენ ვიბრძოლებთ“, - აღნიშნა მან ვიდეომიმართვაში, რომელიც გუშინ „უკრაინა 24“-მა გაავრცელა.

მოამზადა
ია შველიძემ

„დასავლეთს, ამ ეტაპზე, კონფლიქტში აქვს მედიატორის, ანუ მშვიდობისა და მოლაპარაკების ფასილიტატორის როლი“

ანანო ტაბიძე 27 48 93

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება, ერთ მხარეს დგას რუსეთი და მეორე მხარეს - დანარჩენი მსოფლიოს დიდი ნაწილი უკრაინასთან ერთად. უკრაინა-რუსეთის ომის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე ინტერვიუ ვთხოვეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორს, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს ***აკაკი ბერიძეს****. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი მოსაზრებები არ გამოხატავს იმ ორგანიზაციის შეხედულებებს, რომელთანაც დაკავშირებულია შრომითი საქმიანობით.*

- ბატონო აკაკი, რა იყო რუსეთ-უკრაინის ომის წინაპირობა?

- ომის წინაპირობა არის გეოპოლიტიკური მიზნები - ნატოს გაფართოება, გავლენის სფეროები და ბუფერული ზონები. აღნიშნულზე აკეთებს რუსეთის მმართველი ელიტა აქცენტს, ასეთი გზავნილები გაისმის ბოლო წლებია, თუ მსოფლიო უკან არ დაიხევს და უარს არ იტყვის ნატოს გაფართოებაზე, რუსეთს ექნება შესაბამისი რეაგირება. შესაბამისად, იგივე პროცესი მიდის ჩვენთან მიმართებაშიც. თუ უკრაინას არ მოერიდება რუსეთი, საქართველოშიც იგივე სცენარი განხორციელდება. ეკონომიკური მიზნები - უკრაინის ეკონომიკის კრიზისი. ნებისმიერი ომი იწვევს შიდასამრეწველო ინდუსტრიის მოშლას და უკრაინაშიც იქნება ეს ეკონომიკური კრიზისი, თუ დასავლეთი არ დაეხმარება ფინანსურად.

- იყო თუ არა შესაძლებელი ამ ომის თავიდან აცილება?

- რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერება, ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო. თუმცა, უკრაინის მთავრობის და პრეზიდენტის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახდინეს „საერთაშორისო აზრის“ ჩამოყალიბება უკრაინის სასარგებლოდ და უკრაინის რაიმე ბრალეულობა ომის დაწყებაში გამორიცხულია. დასავლეთი ასეთ ალბათობასაც არ უშვებს. არის კიდევ ერთი გარემოება - 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როდესაც საქართველოს უჭირდა დასავლეთის დარწმუნება ჯერ იმაში, რომ რუსეთი აპირებდა საქართველოში სამხედრო ინტერვენციას, დასავლეთი აქ უფრო მომზადებული შეხვდა ომს. მიმაჩნია, რომ 8 აგვისტოს ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა დასავლეთის მიერ თადარიგის დაჭერაში რუსეთთან მიმართებით. ლორდთა პალატის ყველა განხილვაში რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი არ ყოფილა ცალკე აღებული მოვლენა პუტინის რუსეთის მხრიდან, ყოველთვის მიდიოდა საუბარი 8 აგვისტოს ომის კონტექსტში, რაც საქართველოს პოზიციებსაც აძლიერებს.

- თქვენი შეფასებით, რა როლს ასრულებს მსოფლიო რუსეთ-უკარინის ომში?

- მახსოვს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და მასწავლიდა იუგოსლავიის ტრიბუნალის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ვკითხე, თუ რა აზრი ჰქონდა იუგოსლავიის ტრიბუნალის ჩამოყალიბებას, მაშინ როდესაც სრებრენიცაში მოხდა 8000 ბავშვის გაჟლეტა მილოშევიჩის რეჟიმის მიერ. პასუხი იყო შემდეგი: წარმოიდგინეთ, არ არსებობს გაერო, ევროკავშირი, ეუთო, ევროსაბჭო, აფრიკის კავშირი, არაბთა ლიგა, წარმოიდგინეთ, არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და „დასავლეთი“, როგორც კანონის უზენაესობაზე ორიენტირებული ერთობა, მაშინ რა შედეგით დასრულდება სახელმწიფოთა შეიარაღებული კონფლიქტები და დაპირისპირება? დასავლეთს ამ ეტაპზე კონფლიქტში აქვს მედიატორის, ანუ მშვიდობისა და მოლაპარაკების ფასილიტატორის როლი, ამის კვალდაკვალ კეთდება ისეთი განცხადებები და რეზოლუციები, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო სამართლის კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა რუსეთის ქმედებების დასაგმობად.

- რა დატვირთვა აქვს გაეროს ამ კონფლიქტის მიმდინარეობაში?

- გაეროს როგორც ერთა ლიგის მემკვიდრე ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მსოფლიოში საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თუმცა ყველაზე მეტი ჩავარდნა ამ მიმართულებით აქვს გაეროს. ამის მთავარი მიზეზია გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი ხუთი წევრის მიერ განსახილველ საკითხებზე ვეტოს დადების უფლება. რუსეთი კიდევ აგრძელებს ვეტოს უფლების გამოყენებას გაეროს უშიშროების საბჭოში და ჩვეულებისამებრ ბლოკავს რეზოლუციას რუსეთის მიერ უკრაინაში შეიარაღებული ძალის გამოყენების შეწყვეტის შესახებ. ერთა ლიგის მემკვიდრე, გაეროს უშიშროების საბჭო, როგორც ინსტიტუცია, რომელსაც აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უმოქმედოა იმის გამო, რომ არსებობს მისი მუდმივი წევრების, ამ შემთხვევაში, რუსეთის ვეტოს უფლება. გაეროს უშიშროების საბჭოს არ გააჩნია საბოლოო გაჩერების ადგილის კომპეტენცია. მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე საკითხის გადატანა შესაძლებელია გაეროს გენერალურ ასამბლეაში, სადაც არაა რუსეთის ვეტოს შესაძლებლობა. შესაბამისად, მიდის მცდელობა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოახდინოს რეზოლუციის მიღება უკრაინის საკითხზე და მის საფუძველზე სხდომის ჩატარება და რეაგირება. ამის პრაქტიკა არსებობს, როდესაც უშიშროების საბჭო აინიცირებს გენერალურ ასამბლეაში საკითხის განხილვას, რომელზეც რუსეთი ვეტოს ვერ დაადებს. შესაბამისად, ვეტოს დაძლევა ხდება არაპირდაპირ. ასეთი იყო 1950 წელს კორეის შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ საკითხის განხილვა, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ განახორციელა საკუთარი უფლებამოსილება საბჭოთა კავშირის მიერ დაყენებული რამდენიმე ვეტოს გვერდის ავლით. იმისათვის, რომ გენერალურ ასამბლეაში გადავიდეს უშიშროების საბჭოდან საკითხი, საჭირო არაა გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე წევრის თანხმობა, ანუ რუსეთი ვეტოს ვერ დაადებს. შესაბამისად, არის შანსი, რომ გაერო არ დარჩეს ფურცელზე საერთაშორისო მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან მიმართებაში და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიაზე მოახდინოს რეაგირება.

- უკრაინა ევროპული ოჯახის წევრი გახდება, რატომ - ახლა და თან - დაჩქარებული წესით?

- ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებად არიან დარეგისტრირებულნი თურქეთი - 1987 წელს, ჩრდილოეთი მაკედონია - 2003 წელს, ისლანდია, სერბეთი - 2012 წელს, მონტენეგრო, ალბანეთი. ამ სახელმწიფოებისათვის კანდიდატი ქვეყნების სტატუსის მინიჭება არ ყოფილა პოლიტიკური სოლიდარობის ნაწილი და ჟესტი. უკრაინასთან მიმართებაში ხდება პოლიტიკური სოლიდარობა, რომ ევროკავშირი ყველაფერს აკეთებს პარტნიორებისათვის. გარდა ამისა, კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება თავიდან ბოლომდე გამორიცხავს ნეიტრალიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებში უკრაინის მხრიდან.

- როგორ ფიქრობთ, რუსეთი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს?

- დაფიქსირდა, რომ რუსეთი მიმდინარე კონფლიქტის დროს იყენებს ისეთ იარაღს, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისათვის არის მიუღებელი. ომში არ არის დასაშვები ისეთი იარაღის გამოყენება, რაც იწვევს დისკრიმინაციულ მიდგომას სამოქალაქო მოსახლეობისადმი და სამოქალაქო ობიექტებისადმი, ასევე, თუ სამხედრო აუცილებლობა არ ითხოვს ასეთი იარაღის გამოყენებას. რუსეთმა უკრაინაში უკვე გამოიყენა ისეთი აკრძალული იარაღი, როგორიცაა კასეტური ბომბები. სხვათა შორის, 8 აგვისტოს ომის დროს იყო გამოყენებული ეს იარაღი საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება საერთაშორისო სისხლის სასამართლოში, როგორც ომის დანაშაულის შემცველი ფაქტები.

- უკრაინისა და რუსეთის დელეგაციებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა და ალბათ გაგრძელდება კიდეც, რა მოლოდინი გაქვთ, რა შედეგს უნდა ველოდოთ?

- არ მგონია, რომ ამ მოლაპარაკებებს რაიმე შედეგი მოჰყვეს. თუმცა დიპლომატიაში არსებობს ერთი დაუწერელი კანონი - არასდროს ამბობენ უარს მოლაპარაკების გამართვაზე, იმიტომ, რომ საქციელი იმ მხარის, რომელიც უარს ამბობს მოლაპარაკებაზე, აღქმულია როგორც პრობლემის გადაწყვეტის მტრული ფორმა. ამიტომ გამოიხატა მზაობა ორივე მხრიდან მოლაპარაკების გამართვაზე.

- დაბოლოს, ბატონო აკაკი, რა საფრთხის წინაშეა, საქართველო?

- საქართველო არის იმ საფრთხის წინაშე, რა საფრთხის წინაშეც არის მთელი ევროპა და რუსეთის ინტერესებში მყოფი სახელმწიფოები. მინისტრობამდე ბისმარკი იყო პრუსიის მთავრობის წარმომადგენელი ფრანკფურტის პარლამენტში, პრუსიის ელჩი პარიზსა და პეტერბურგში. იგი რუსებზე ამბობდა: „არასოდეს არ ენდოთ რუსებს, რადგან რუსები არ ენდობიან თვით საკუთარ თავსაც“.

> *„იმისათვის, რომ გენერალურ ასამბლეაში გადავიდეს უშიშროების საბჭოდან საკითხი, საჭირო არაა გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე წევრის თანხმობა, ანუ რუსეთი ვეტოს ვერ დაადებს. შესაბამისად, არის შანსი, რომ გაერო არ დარჩეს ფურცელზე საერთაშორისო მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან მიმართებაში და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიაზე მოახდინოს რეაგირება*

ცოტნე ანანიძე: მაღალი ალბათობით, ირაკლი ღარიბაშვილი დამატებით ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას, თუ რა საფუძველი ჰქონდა მის განცხადებებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

უკრაინაში მიმდინარე პროცესების შეფასება ვთხოვეთ აჭარის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატს მმართველი გუნდიდან ცოტნე ანანიძეს. მას, ასევე, გკითხეთ, ხომ არ ქმნიდა ერთგვარ უხერხულობას საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, არ აპირებს მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში

- ჩემი მხრიდან შეფასება არის ცალსახა, საერთაშორისო საჯარო სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია არის დარღვეული, დამრღვევი არის რუსეთის ფედერაცია. ალბათ, მსოფლიოში უპრეცედენტო პროტესტმა მოიცვა არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური წრეები, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური, არამედ კულტურული, სპორტული. ყველა სფეროს წარმომადგენლების პროტესტი ისმის რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ის ფაქტობრივი მოცემულობა, რაც განასხვავებს სამართლის დამცველს და სამართლის დამრღვევს. ცხადია, ამ რთულმა ვითარებამ ძალიან დააფიქრა ევროპაც, დასავლური ცივილიზაციაც, რომ საფრთხე ემუქრება მთლიანად მსოფლიოს და ევროპის უსაფრთხოებას, ნებისმიერ ადამიანს. ჩვენ ვხედავთ ასევე სხვადასხვა ღონისძიებას სანქციებთან დაკავშირებით, საჰაერო სივრცის დაკეტვას, რაც არის ნაბიჯ-ნაბიჯ რუსეთის იზოლაციის პროცესი. რაც შეეხება თქვენს კითხვას ღარიბაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, მესმის, რომ გამოიწვია ამ საკითხმა მღელვარება, მათ შორის, პერსონალურად მე, ამ სიტუაციაში, ვიქნები ძალიან მკაფიო და ვიტყვი, რომ ჩემი მხარდაჭერა ეკუთვნის უკრაინას. რა თქმა უნდა, დეტალური საფუძვლები ჩვენთვის უცნობია, ის, თუ რა ტიპის ინფორმაცია, მოლოდინი არსებობდა იმ საფუძვლის ნაწილში, რაც პრემიერმა განცხადებაში გამოიყენა. თუმცა, ჩვენ ამავდროულად ვხედავთ მთავრობის გადაწყვეტილებებს ჰუმანიტარულ დახმარებასთან დაკავშირებით, განცხადებებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, პრეზიდენტის, სახელმწიფოს და ხალხის მოქმედებას უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი. დარწმუნებული ვარ, ალბათ, პრემიერი დამატებით კიდევ მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას იმ განცხადების შესახებ, რაც გააკეთა. შესაძლებელია, ყველაფრის თქმა გარკვეულ რისკებს შეიცავდა, მაგრამ ფაქტია, ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიზანი არის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და ამას ვერავინ ვერასდროს შეუშლის ხელს. მესმის თქვენი კითხვის საფუძველიც, თუმცა რა საფუძველი უდევს ამ ტიპის განცხადებას, ამაზე, მაღალი ალბათობით, პრემიერი მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოებას. ახლა მთავარია გაიმარჯვოს უკრაინამ, უკრაინელმა ხალხმა და არა მხოლოდ უკრაინამ, გაიმარჯვოს ყველა იმ კონვენციამ, რომელიც იცავს სუვერენიტეტს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, იცავს მშვიდობას, - განაცხადა ცოტნე ანანიძემ.

მედეა ვასაძე: არასოდეს შემშინებია რუსის ჩექმის და არც ახლა შევუშინდები

ხატია იაშვილი 591 98 24 26

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი იგორ დოლგოვი გაიწვია, ამის შესახებ მან სპეციალური მიმართვისას განაცხადა. „ჩვენ დაუყოვნებლივ ვიწვევთ საქართველოს ელჩს იმ მოხალისეებისთვის დაბრკოლებების გამო, რომლებსაც სურთ ჩვენი დახმარება, მისი არამორალური პოზიციისთვის სანქციებთან დაკავშირებით“, - განაცხადა ზელენსკიმ

ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყანა უკრაინაში მიმდინარე სპეციალური სამხედრო მოქმედებების გამო, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ დააწესებს. მისი თქმით, სანქციები ყველაზე მეტად თავად საქართველოს დააზიანებს. პრემიერის თქმით, საქართველომ უკრაინას ყველა საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში მხარდაჭერა გამოუცხადა. მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებას ორგანიზაციაში რუსეთის წარმომადგენლობის უფლების შეჩერების შესახებ, ასევე - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას. ამასთან, თბილისსა და სხვა ქალაქებში ყოველდღიურად იმართება უკრაინის მხარდამჭერი აქციები.

ამის მიუხედავად, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი ითხოვს უკრაინაში ჯარის გაგზავნას და არ მიიჩნევს პრემიერის გადაწყვეტილებას სწორად. უთანხმოება საკანონმდებლო ორგანოებში ხშირად აგრესიულ შეტაკებებში გამოიხატება. ორივე მხარე ცდილობს საკუთარი სიმართლე დაამტკიცოს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აჭარის უმაღლეს საბჭოში პოზიცია-ოპოზიციის ჩხუბმა. შელაპარაკებები ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ერთმანეთს ბოდიში მოუხადეს. თავადვე განაცხადეს, რომ წუხან ემოციების გაშიშვლებისთვის და არცერთი არ აპირებს მსგავსი პაექრობის კვლავ დაშვებას. უარყოფითად შეაფასეს საკუთარი ქმედებები და მე ჩავთვალე - ეს საკმარისია, რადგან ბოდიშის მოხდა პოზიტიური გადაწყვეტილებაა იმ დაძაბულ ვითარებაში, როგორშიც დღეს ვიმყოფებით.

- ელგუჯა ბაგრატიონმა მოღალატე უწოდა ტიტე არაშიძეს, რასაც მოჰყვა შეხლა-შემოხლა. მიგაჩნიათ, რომ გამართლებული იყო მისი ეს რეპლიკა?

- ხდება ხოლმე, რომ ზოგადი საკითხების განხილვისას პირადულში გადადის ერთი მხარეც და მეორეც. ყველაფერი ეს გარედან ძალიან ცუდად გამოიყურება. გითხარით, რომ მოგვიანებით შევუერთდი ამ არეულობას, მაგრამ მქონდა „ჩვენებთან“ საუბარი. მინდა გითხრათ, რომ თავადაც უკმაყოფილო იყვნენ ამ ინციდენტით. ჩვენ კანონშემოქმედებით ორგანოს წარმოვადგენთ და ხელჩართული ბრძოლა არ შეგვეფერება. ტრიბუნა სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ჩვენი სათქმელის, გადაწყვეტილების თქმა მოვახერხოთ. რა თქმა უნდა, ამაში თქვენ, ჟურნალისტებიც გვეხმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს საშუალებები უნდა გამოვიყენოთ და არ დავძაბოთ ვითარება ისე, რომ ჩაშლის პირას მივიდეს სხდომა. ასეთი არეულობით ვკარგავთ ავტორიტეტს და კანონით მონიჭებულ სიტყვის თქმის უფლებას, ნორმალურად ვერ განვუმარტავთ ამომრჩეველს ჩვენს პოზიციას.

- ისიც ითქვა, გარეთ მშვენიერი ურთიერთობები აქვთ პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენლებს, მაგრამ კამერების წინ, რატომღაც, ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიანო...

- ძალიან მიხარია, რომ პირადულში არ გადადის ჩვენი პოლიტიკური დაპირისპირება, მაგრამ არც ასეა საქმე. სხდომაზე შესვლამდე მადლობა გადავუხადე უმრავლესობის წარმომადგენელს ჩემი მწუხარების გაზიარებისთვის, შესაძლოა, გარედან ეს სხვაგვარად აღექვათ. აქედან გამომდინარე, არ მინდა, იფიქროთ, თითქოს ჩვენ სპექტაკლებს ვდგამთ. მსგავსს არავინ აკეთებს. ნებისმიერი უთანხმოება წარმოიქმნება ერთ კონკრეტულ საკითხზე, აზვირთდება და დაპირისპირებაში ნახულობს გამოსავალს.

- როგორ შეაფასებთ უკრაინა-რუსეთის ომს?

- მე ის ვარ, ვინც გამოიარა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. ვიცი, რას ნიშნავს ქვეყნის თავისუფლების ხელყოფა. ძნელია საკუთარი წვლილის განსაზღვრა ამ საქმეში, რადგან დიდი მოკრძალებით ვეკიდები ამ საკითხს. მთელი ჩემი ოჯახი ვიყავით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მოძრაობა რთულად შემოვიდა აჭარაში, ისევე, როგორც ყველა სხვა ახალი პროცესი ფეხს იკიდებს მძიმედ - აჭარელი კაცი ბუნებით კანონმორჩილია და ბევრი შრომაა საჭირო, განსხვავებულ აზრში რომ დაარწმუნო. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ აქ განსაკუთრებულად მძიმე იყო ეს ბრძოლა, რეპრესიებიც გამოიარა ოჯახმა... ახლა აღარ ჩავუღრმავდები ამ საკითხს, რადგან შორს წაგვიყვანს. უკრაინის თემა ამიტომაცაა ჩემთვის სენსიტიური, მთლიანად ვარ ჩაძირული ამ პროცესში და უკიდურესად გაღიზიანებული არსებული ვითარებით. უკრაინელთა ბრძოლა არის სამართლიანი, რა უნდა მათგან რუსეთს, მაინც ვერ გავიგე. თბილისიდან წამოსულმა მუხათგვერდში გამოვიარე - ჩვენი ბიჭების საფლავებთან და იქ ვთქვი სათქმელი, სხვაგან არ გვაძლევენ ემოციების დახარჯვის საშუალებას.

- თქვენ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას გულისხმობთ?

- არ ვიცი, რას ვგულისხმობ... ჩვენი ხელისუფლება საკუთარ პოზიციას ეძახის სიფრთხილეს, ჩვენ - სიმხდალეს. მე არ მინდა ცხოვრება მხდალთა ქვეყანაში, მხდალი ადამიანების გვერდით. უსუსურობის გამოხატვა, არა მგონია, სიფრთხილე იყოს. ჩვენ მებრძოლი, რაინდების ქვეყანა ვართ, ქართველები ვართ, რომლებსაც ისტორიულად მოგვდევს სიამაყე, თავგანწირვა, სისხლის ღვრა სიმართლისთვის და თავისუფლებისთვის.

- თქვენ მიგაჩნიათ, რომ საკმარისი სიმამაცე ვერ გამოვიჩინეთ?

- მგონია, ჩვენი სიფრთხილე არ არის საკმარისი რუსებისგან თავდასაცავად. თუკი რაიმე სურთ ან მოესურვილებათ უკრაინიდან წამოსულებს, მაინც დაგვარტყამენ და არ შეხედავენ, დავუდექით თუ არა უკრაინას მხარში. ალბათ, ნახეთ, რა ირონიული შეფასებები გააკეთეს რუსებმა: გამოირეცხა ქართველების ტვინი 2008 წლის ომშიო. ახლა, რომ ვუყურებ მიმდინარე მოვლენებს, ვხვდები, რამხელა ბრძოლა გადაუტანია ჩვენს მაშინდელ პრეზიდენტს, რომელიც ახლა ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული. ასეა თუ ისე, ხომ შეჩერდა მაშინ რუსეთის აგრესია?

- ახლაც ითხოვს მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში გაშვებას...

- დიახ, ახლაც ითხოვს და რომ გაუშვან, აუცილებლად წავა, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მოდით, განვსაჯოთ - ამ კაცის ენერგია იგივე უკრაინისთვის, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მას იქ შეუძლია რეალური საქმეების კეთება. მკვეთრად გამოხატული პოზიციები აქვს. იმის დროა, ახლა მიხეილ სააკაშვილი ოთხ კედელში იყოს ჩაკეტილი? მე ვიტყოდი, ეს არის დანაშაული - არ ჯდება არანაირ კონტექსტში, არანაირ რეალობაში.

- თქვენ თვლით, რომ უნდა გაუშვან?

- აბა, რა უნდა ქნან, უნდა გაათავისუფლონ მსჯავრისგან და გაუშვან, ხელი შეუწყონ მის მოთხოვნებს და დაახმარონ უკრაინას მისი უშრეტი ენერგია. ახლახან გამოვაქვეყნე ჩემს ფეისბუქ-გვერდზე 2013 წელს სააკაშვილის გამოსვლა. გაეცანით და შეადარეთ ახლანდელ ლიდერს. რომ მოვუსმინე, აღფრთოვანებული დავრჩი, 10 წუთი გონზე ვერ მოვედი. თუ რა შეიძლება მომხდარიყო და რა საფრთხის წინ ვიდექით, ყველა მოსაზრება აქვს ჩადებული ამ სიტყვაში. ამით კიდევ ერთხელ ავხსენი, რატომ გადმოვედი ოპოზიციაში და რატომ ვარ იქ, სადაც ეს კაცი იდგა. ნახეთ, მოუსმინეთ თავად და მიხვდებით, რისი თქმაც მინდა.

- ქალბატონო მედეა, პრემიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, 40 კმ-ში დგას რუსის ჯარი და ნებისმიერი პროვოცირებაც საკმარისი იქნება საქართველოს ასატრიალებლადო. თქვენ მიგაჩნიათ, რომ მზად ვართ გავუმკლავდეთ მოსკოვს?

- შეიძლება გაგვიჭირდეს მოგერიება. უკრაინისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვართ მზად. უკრაინა მომზადებული შეხვდა როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მორალურად და სულიერად. მთელი ქვეყანა მზად იყო, რუსებს ვაჟკაცურად დახვედროდა. ვიმეორებ, გაგვიჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავი დავიჩლუნგოთ და მონური ფსიქოლოგია ვადიდოთ. სულზე უღელს ვერ დავიდგამ, არასოდეს შემშინებია რუსის ჩექმის და ახლაც არ შევუშინდები. ასაკის მიუხედავად, თუკი სროლას მასწავლის ვინმე, ახლაც მზად ვარ, იარაღი ავისხა და უკრაინელებს დავეხმარო, რითაც შევძლებ. მესმის პრემიერის, რომ საკუთარ ძალებში ეჭვი ეპარება, რაც არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ რაღაც სხვა მაინც ხომ უნდა გააკეთო, ის, რაც ძალუძს მთელ ერს.

- საქართველო ხომ აკეთებს, რაც შეუძლია?

- რას აკეთებს, გამოთიშულია ყველა იმ კონტექსტიდან, რითაც აპელირებს ცივილიზებული სამყარო პუტინის წინააღმდეგ. რა დაგვრჩა, მეგობარი ქვეყნებიც ზურგს გვაქცევენ, ვინ გვიშველის საჭიროების შეთხვევაში და ვინ დაგვიდგება გვერდში, თუკი იგივე რუსეთი ვერ დაიკმაყოფილებს მადას და აქეთ გადმოდგამს ნაბიჯს? ხედავთ, რა ხდება? გამოდის, რომ თან მხდალები ვართ, თან მეგობრებიც არ შეგვრჩა, ზელენსკიმაც გაიყვანა ელჩი საქართველოდან. ვის უნდა ჩვენი დახმარება? სირცხვილია, ზელენსკი ამას გვაპატიებს? ღარიბაშვილმა ექიმებით სავსე თვითმფრინავი არ გაუშვა, ექიმები გაარჩრა, რომლებმაც გადადეს თავი და დაჭრილების საშველად გადაწყვიტეს შუა ომში, ფრონტის წინა ხაზზე წასვლა. პრემიერმა თავი დაიმშვიდა, ჩვენი ელჩი რჩება უკრაინაში, არა უშავსო. მართლა ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდით, მე ზნეობრივ მხარეს ვგულისხმობ, თორემ ყველაზე საშინელი ამბები ახლა უკრაინის ომში, თავისუფლებისთვის ბრძოლაში ტრიალებს. პუტინი უკრაინას კი არა, კაცობრიობას დაესხა თავს. ამ ვითარებაში მახსენდება მეორე მსოფლიო ომი, როდესაც საფრანგეთის ოკუპაცია მოხდა. მაშინდელმა პრეზიდენტმა პარიზის დაბომბვას და ძეგლების განადგურებას არჩია ქალაქის ჩაბარება. შემდეგმა მთავრობამ კი ის ადამიანები, რომლებმაც პარიზი უბრძოლველად ჩააბარა მტერს, დახვრიტა.

- როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში?

- მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ ამ ამბავს, მგონია, რომ უკრაინა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით დაძლევს მტერს, რადგან მოსკოვს აშკარად უჭირს. არავინ ელოდა უკრაინის ასეთ დახვედრას და მედგარ წინააღმდეგობას. რუსეთის ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილი არ დაუშვებს ამ სისხლისღვრის გაგრძელებას, აუჯანყდება, რადგან მათი შვილები იღუპებიან (ის ბიჭებიც მეცოდება), მათი სახელი უკვე ფაშისტების სინონიმად იქცა. მათი ქვეყანა სულ მალე ეკონომიკურ კოლაფსში ჩავარდება. არც ბირთვული იარაღის გამოყენებაა რუსეთისთვის გამოსავალი, რადგან ამით საკუთარ ხალხს და ქვეყანასაც გაანადგურებს. ეს ყველამ იცის და ამიტომაა ასე გამწარებული, ცდილობს ევროპის და კოლექტიური დასავლეთის დაშინებას ბირთვული ტრიადით. ევროპამ მის მიმართ შიში უკვე გადალახა. მიხვდა, რომ რუსეთი აშანტაჟებს მათ მათივე შიშით. ამიტომ ვაცხადებ, რომ ჩვენი ხელისუფლების სიმხდალე არანაირად არ არის გამართლებული. რუსეთ-უკრაინის ომი დასრულდება, ადრე თუ გვიან ყველაფერი სრულდება, საქართველო კი დაკარგავს ამაყი, მებრძოლი და შეუდრეკელი ერის შარავანდედს.

> ***„შეიძლება გაგვიჭირდეს მოგერიება. უკრაინისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვართ მზად. უკრაინა მომზადებული შეხვდა როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მორალურად და სულიერად. მთელი ქვეყანა მზად იყო, რუსებს ვაჟკაცურად დახვედროდა. ვიმეორებ, გაგვიჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავი დავიჩლუნგოთ და მონური ფსიქოლოგია ვადიდოთ***

ფიბა-მ რუსული გუნდები და პერსონალი მის მიერ ორგანიზებულ ტურნირებს ჩამოაშორა

გუშინ საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციამ (ფიბა) ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რის საფუძველზეც რუსულ გუნდებს და ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ მის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობა. გთავაზობთ ამ განცხადებას: „ფიბა ძალიან შეშფოთებულია უკრაინაში განვითარებული ბოლო მოვლენებით და ღრმა თანაგრძნობას გამოთქვამს დაზარალებულთა მიმართ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს რეზოლუციისა და მისი მიზეზების შესაბამისად, ფიბა-მ დღეს გამოაცხადა, რომ რუსეთის გუნდებს და ოფიციალურ პირებს არ ექნებათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ფიბა-ს მიერ ორგანიზებულ საკალათბურთო და 3X3 კალათბურთის შეჯიბრებებში შემდგომ გაფრთხილებამდე. ყოველ მომდევნო გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება ფიბა-ს 25 მარტის ცენტრალური საბჭოს სხდომაზე, ასევე ფიბა-ს ევროპის ზონის ორგანოების მიერ უახლოესი დღეების განმავლობაში, ფიბა დაუყოვნებლივ გაგაცნობთ. ფიბა მკაცრად გმობს ძალადობას და იმედოვნებს, რომ მშვიდობა მალე დაისადგურებს“.

შეგახსენებთ: უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ, ფიფა-მ, უეფა-მ, ISU-მ რუსეთის ყველა წარმომადგენელი დაბლოკა.

ამირან გურიელიძე

წვირმიდან - გომარდულში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გომარდულელ დავით ყიფიანს საზოგადოება უანგარო, საქმიან და სტუმართმოყვარე პიროვნებად იცნობს. ეს თვისებები არც მის შვილებს აკლიათ. ჩვენი სტუმარია პედაგოგი **ფატმან ყიფიანი.**

- ქალბატონო ფატმან, რა იცით ყიფიანების წინაპრების დამკვიდრებაზე ჭვანის ხეობაში?

- დავიბადე სოფელ გომარდულში 1974 წლის პირველ ივლისს, ორი ძმის ერთი და ვარ. განებივრებული ბავშვი ვიყავი, თბილ, მზრუნველ და მოსიყვარულე გარემოში ვიზრდებოდი ძმებთან და ბიძაშვილებთან ერთად. გომარდულელი ყიფიანების წინაპარნი სვანეთიდან, სოფელ წვირმიდან გადმოსულან აჭარაში მე-18 საუკუნეში, დასახლებულან ჭვანაში, შემდეგ მამული შეუყიდიათ სოფელ გომარდულში მუავანაძეებისგან და დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ცხოვრების ბედი დათო ტარიელაძეს დავუკავშირე. მეუღლე ყველაზე დიდი დასაყრდენია ჩემთვის. დათო მრავალშვილიანი ოჯახიდანაა - 9 და და ერთი ძმა ჰყავს. ასეთ ოჯახებში, სირთულეებთან ერთად, უთუოდ დიდი სიყვარულიცაა, რაც გაძლიერებს, მით უფრო, როცა ოჯახის წევრების უმრავლესობა განათლებაზეა ორიენტირებული.

- სერტიფიცირებული პედაგოგი, კარგი დედა და მეოჯახე, სტუმართმოყვარე მასპინძელი, მოსიყვარულე ბებია... ძნელი არ არის ამ მოვალეობების ერთმანეთთან შეთავსება?

- ბედნიერი ვარ, რომ პედაგოგის პროფესია ავირჩიე, მაქვს ჩემი ადგილი საგანმანათლებლო სამყაროში. პროფესია არასოდეს მიშლის ხელს, ვიყო გულუხვი და სტუმართმოყვარე მასპინძელი. მეუღლეც ძალიან მიწყობს ხელს. რაც უფრო მეტ სტუმარს მოუწევს გული ჩემი ოჯახისკენ, მით მეტია პასუხისმგებლობაც - ადამიანები ხომ იმ ოჯახებს სტუმრობენ, სადაც თავს ლადად და თავისუფლად გრძნობენ და მასპინძლისთვისაც სასურველნი არიან. ამაზე დიდი ბედნიერება ვერ წარმომიდგენია. არც დანარჩენი საქმის ერთმანეთთან შეთავსება მიჭირს.

- უფროსი მასწავლებელი უკვე ხართ. წამყვანი და მენტორი მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად რას აკეთებთ?

- ზოგადად, პედაგოგობა დიდი პასუხისმგებლობაა, არა აქვს მნიშვნელობა, უფროსი მასწავლებლის სტატუსს ატარებ თუ დამწყებისას... მასწავლებელი მუდმივად უნდა განვითარდეს და წინ წავიდეს, იმუშაოს საკუთარ თავზე და თითოეული მოსწავლის გადასახედიდან შეძლოს სამყაროს აღქმა. სწორედ მაშინ ხდები წარმატებული, თუ მოსწავლე პატივს გცემს და გენდობა, საგანსაც მარტივად სწავლობს. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, ზოგი გვიან აღიქვამს, ზოგიც მალევე, არ არსებობს უნიჭო მოსწავლე, არსებობს შესაძლებლობები და ეს შესაძლებლობა უნდა დაინახოს მასწავლებელმა... რა თქმა უნდა, მეტის მოსაპოვებლად ვიბრძვი.

- მეუღლესთან დათო ტარიელაძესთან ერთად ბარათაულის ამირან მამალაძის სახელობის სკოლაში მუშაობთ. სად მეტია თქვენი როლი - ოჯახში თუ სკოლაში?

- დიახ, მე და ჩემი მეუღლე ერთ სკოლაში ვმუშაობთ, რაც შეეხება ჩემს როლს ოჯახსა და სკოლაში, ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო ორივე მხარეს, დავიხარჯო ბოლომდე და ვიყო რეალიზებული პროფესიაშიც და ოჯახშიც, ზოგადად, ვფიქრობ, ბედნიერება თავად უნდა შექმნა. ბედნიერება წვრილმანებშია და ასეთი მიდგომაც მეტ ენერგიას გმატებს, რომ ყველაფერს მოერიო...

- 3 შვილის დედა იყავით, როცა უმაღლეს განათლებას იღებდით. როგორ ასწრებდით?

- როცა მიზანს ისახავ და გჯერა საკუთარი ძალების, ყველაფერს შეძლებ. სამი შვილი ადვილი ტვირთი როდია სტუდენტობისას, მაგრამ ამავე დროს, ბედნიერებაცაა, ისინი ძალას გმატებენ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

- გია უკვე წარმატებული ინჟინერია, მალე კიდეც დაოჯახდება და სიდედრის, დედამთილის მოვალეობების შესრულებაც მოგიწევთ.

- გია ჩემი სიამაყეა, ისევე როგორც ჩემი ქალიშვილები. ორგზის სიდედრი უკვე ვარ. ვფიქრობ, ცუდი სიდედრი არ უდა ვიყო (სიძეებს ჰკითხეთ). ვემზადები დედამთილობისთვის. ცალმხრივად არაფერი კეთდება, ორივე მხარეს უნდა ჰქოდეს ვალდებულებები გაცნობიერებული. მჯერა, ურიგო დედამთილი არ ვიქნები.

- გაზაფხულის დღესასწაულს პირველად ვის ულოცავთ?

- მამაჩემის მეორე ცოლს, ქალბატონ ანიკოს, რომელიც დღემდე დედობას მიწევს. რაც შემეხება მე, ჩემი შვილები და მოსწავლეები მახარებენ მოლოცვებითა და საჩუქრებით.

- რთულ პერიოდში მოსახლეობამ სოფელი დატოვა, თქვენ ახალი საცხოვრებელი მოიწყვეთ...

- თუ ვინმეს გულწრფელად უნდა საქმის კეთება, სწორედ რომ სოფელში უნდა ჩადოს თავისი ენერგია. მე არ მიცდია ქალაქში გადაბარგება, პირიქით, აქ ავიწყვე ბუდე. მინდა, ჩემი შვილები არასოდეს მოწყდნენ მამისეულ კერას და ფესვებს, ხშირად ჩამოვიდნენ აქ და იკვებონ ტრადიციებითა და სიყვარულით.

- ქართული ოჯახის სიმტკიცისთვის რა არის მთავარი?

- აუცილებელია სიყვარული, მოთმინება და ურთიერთმხარდაჭერა, დანარჩენი დეტალებია. ოჯახი პატარა სახელმწიფოა, მტკიცე ოჯახი - ძლიერი სახელმწიფოს საწინდარი.

- თქვენს მოსწავლეებზე რას იტყვით?

- დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ ბავშვები. რთულია უფროსკლასელებთან მუშაობა, თუმცა არ მიჭირს, რადგან ის სიყვარული, რასაც გასცემ, ორმაგად გიბრუნდება. ჩემ თვალწინ უამრავი ღირსეული მოსწავლე გაიზარდა, აღფრთოვანებული ვარ მათი წარმატებით.

- საერო და საღვთო დღესასწაულებში თუ მონაწილეობთ?

- ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ტრადიციებს, კულტურასა და მრწამსს სათანადო პატივი მივაგოთ, ჩართულობასაც არ გავურბივართ.

- თურმე თამადობაც გეხერხებათ, თქვენი საყვარელი სადღეგრძელო?

- მიყვარს, როცა ძვირფასი ადამიანები ჩემ ირგვლივ იკრიბებიან. ასეთ დროს ვცდილობთ მოვილხინოთ და ერთმანეთს ლამაზი სიტყვებიც ვუთხრათ. მსგავს სიტუაციებში ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს, როცა ოჯახს ვადღეგრძელებ. ეს ის არის, რაც მაბედნიერებს, რისთვისაც ვცხოვრობ და ვცოცხლობ. ოჯახი ჩემთვის ფასდაუდებელი შენაძენია, ცხოვრებაში უმთავრეს ადგილს იკავებს. იგი დიდ სიყვარულზეა დაფუძნებული, რომელიც უსასრულოდ გრძელდება.

> *არა აქვს მნიშვნელობა, უფროსი მასწავლებლის სტატუსს ატარებ თუ დამწყებისას... მასწავლებელი მუდმივად უნდა განვითარდეს და წინ წავიდეს, იმუშაოს საკუთარ თავზე და თითოეული მოსწავლის გადასახედიდან შეძლოს სამყაროს აღქმა. სწორედ მაშინ ხდები წარმატებული, თუ მოსწავლე პატივს გცემს და გენდობა*

„ევროკავშირის 27 წევრთან ერთად ჩვენ ტკივილს ვაყენებთ რუსეთს“

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, აშშ რუსული თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცეს ხურავს. ამის შესახებ განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა კონგრესში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას გააკეთა.

„ვუერთდებით ჩვენს ევროპელ მოკავშირეებს ყველა რუსული რეისისთვის ამერიკული საჰაერო სივრცის დახურვით, რათა გავაძლიეროთ რუსეთის იზოლაცია და დამატებითი დარტყმა მივაყენოთ მათ ეკონომიკას“, - განაცხადა ბაიდენმა.

მისი თქმით, პუტინი ახლა ისეა იზოლირებული მსოფლიოსგან, როგორც არასდროს.

„ჩვენ ფართოდ და სიფრთხილით მოვემზადეთ, თვეების განმავლობაში ვაყალიბებდით კოალიციას თავისუფლების მოყვარული ქვეყნებისგან ევროპასა და ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში პუტინისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ბევრი თქვენგანის მსგავსად, მე უამრავი საათი გავატარე ჩვენი ევროპელი მოკავშირეების გაერთიანებაში. ჩვენ გავუზიარეთ მსოფლიოს წინაწარ ის, რაც ვიცოდით პუტინის გეგმების შესახებ, კერძოდ კი ის, თუ როგორ შეეცდებოდა იგი თავისი აგრესიის გაყალბებასა და გამართლებას. რუსეთის ტყუილს ჩვენ სიმართლე დავუპირისპირეთ და ახლა თავისუფალი მსოფლიო მას პასუხს აგებინებს.

ევროკავშირის 27 წევრთან ერთად, ასევე, დიდ ბრიტანეთთან, კანადასთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან, შვეიცარიასთან ერთადაც კი, ჩვენ ტკივილს ვაყენებთ რუსეთს და მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს. პუტინი ახლა იზოლირებულია მსოფლიოსგან ისე, როგორც არასდროს. ჩვენს პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად ვაწესებთ ძლიერ ეკონომიკურ სანქციებს“, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

მარი მიდასელი

„პუტინმა ძალიან არასწორად გათვალა უკრაინის პასუხი“

ეს სიტყვები გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს ეკუთვნის.

„ის, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ ვლადიმერ პუტინის რეჟიმისგან იმ საბრძოლო მასალის გამოყენებით, რომელსაც ისინი უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ, ჩემი აზრით, სრულად კვალიფიცირდება, როგორც ომის დანაშაული“, - განაცხადა ჯონსონმა, - სუვერენულ ერზე ამაზრზენი თავდასხმისას მან არ შეაფასა უკრაინელი ხალხის არაჩვეულებრივი სიმტკიცე და თავისუფალი სამყაროს ერთიანობა და მზადყოფნა, წინ აღუდგნენ მის ბარბაროსობას“. მისი თქმით, თუ პუტინი გაზრდის აგრესიას, დასავლეთი კიდევ უფრო გააძლიერებს ეკონომიკურ ზეწოლას რუსეთზე, უკრაინას კი ფინანსებითა და იარაღით და დაეხმარება.

„პუტინმა მარცხი უნდა განიცადოს და ეჭვი არ მეპარება, რომ ის დამარცხდება და ჩვენ წარმატებას მივაღწევთ უკრაინის დაცვაში“, - განაცხადა ბორის ჯონსონმა.

ამირან გურიელიძე

ბავშვებისთვის ღვთის წყალობაა ასეთი პედაგოგი

არწივის ბუდესავით მთებშია ჩაგვირისტებული სოფელი ინწკირვეთი. 1928 წელს ამ სოფელში ქართული სკოლის აღდგენა იზეიმეს

გურული ინწკირვეთელების სამკვიდროს საგანმანათლებლო კერა 90 წელია, მომავალი თაობის აღზრდის კეთილ საქმეს ემსახურება. მის კედლებში თაობები დაფრთიანდნენ. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებული 150-ზე მეტი პედაგოგი ინწკირვეთელთა შვილების აღზრდის სამსახურში იყო. ჩოხატაურელი პლატონ ძნელაძე და სამტრედიელი კოტე მეძველია სოფლის დაწყებითი სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ.

წყალსაყრის თემში ინწკირვეთი პირველი სოფელია, სადაც საშუალო სკოლა გაიხსნა. იყო სოფლის ცოდნის ტაძრის ხელმძღვანელი, გააგრძელო განათლების სისტემის ისეთი კორიფეების საქმეები, როგორებიც შოთა მინაშვილი, იაშა გიორბელიძე, მამია ვაშალომიძე, კორნელი ჩიხლაძე, მამია დუმბაძე, ალეკო ყიფიანი, შოთა შარაშიძე იყვნენ, ერთეულთა ხვედრი და დიდი პატივია, მით უფრო ქალბატონისთვის, რომელიც ამ სოფელში დაიბადა და აქაური სკოლა დაამთავრა. ეს ეთერ ქათამაძე გახლავთ, მან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება და 1983 წლიდან ჯერ დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ხოლო 2009 წლიდან სკოლის დირექტორად მუშაობს.

პედაგოგიური პროფესიის ხიბლს მშობლიურ სკოლაში ეზიარა. ახალბედა, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი საქმის სიყვარულით ფუტკარივით შრომობდა, რათა ნორჩ აღსაზრდელებში დათესილ სიკეთეს უხვად გამოეღო ნაყოფი. იგი საგულდაგულოდ ემზადებოდა გაკვეთილებისათვის, აღსაზრდელებთან, თვალხატულა გოგო-ბიჭებთან შეხვედრისათვის. სიყვარულით აღსავსე, მადლიერი და შუქჩამდგარი თვალებით შესცქეროდნენ და სულგანაბული უსმენდნენ მოსწავლეები პედაგოგიური ღირსებებით შემკულ, სანდომიან მასწავლებელს, რომელსაც თანდათან შეჰყავდა ისინი დედაენის სამყაროში და ცოდნის დაუფლების წყურვილით მუხტავდა თითოეულს. ახალბედა პედაგოგი თავიდანვე აჩვევდა თავის აღსაზრდელებს წიგნთან მეგობრობას, დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვებში გონების ვარჯიშს, სწორი მეტყველებისა და მათემატიკური აზროვნების განვითარებას. ცდილობდა გამოემუშავებინა მათთვის კვლევის, ანალიზის, სინთეზის, შედარების, განსჯის, დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. ასევე ჯეროვან ყურადღებას უთმობდა სიკეთისადმი სიყვარულის, ფაქიზი გრძნობების ჩანერგვას, ურთიერთგაგებას, ერთმანეთის დაფასებას და გატანას. ცხადია, შედეგებიც ყოველთვის შესაბამისი იყო. მისი მოსწავლეები გამოირჩეოდნენ ზრდილობით, პატიოსნებით, გონიერებით, საზრიანობით, უფროსებისა და ჩვენი ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემით.

ეთერ ქათამაძე უნარიანად ხელმძღვანელობდა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას. მხარში ედგა ახალბედა, დამწყებ პედაგოგებს, ტარდებოდა საჩვენებელი ღია გაკვეთილები, ყურადღების ცენტრში იყო სიახლეების გაცნობა, მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვა.

მაძიებელი, შემოქმედი პედაგოგის წარმატება იყო მისი სკოლის დირექტორად დაწინაურება. აქ კიდევ უფრო წარმოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, სიახლეთა დანერგვის, სწავლებისა და აღზრდის პროცესის მართვის უნარი და ადამიანური ღირსებები. მასწავლებელთა მასწავლებელს კარგად ჰქონდა გააზრებული დიდი პედაგოგის იან ამოს კომენსკის სიტყვების მნიშვნელობა: სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ. ამიტომაც უპირველეს მიზნად დაისახა შეგნებული დისციპლინის განმტკიცება, რაც მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევის საწინდარია. შექმნა კეთილგანწყობის, უშუალობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის ატმოსფერო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სკოლის მდიდარი ტრადიციების გამრავალფეროვნებას, ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების, სწავლების ახალი გზების ძიებას, ნოვატორული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, მხატვრულ-ესთეტიკური და სპორტული აღზრდის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. საამისოდ მუშაობაში ფართოდ ჩაება კლასის ხელმძღვანელები, აღმზრდელ-პედაგოგები. სკოლისა და ოჯახის, მასწავლებლებისა და მშობლების ყოველდღიური, მჭიდრო კავშირითა და მიზანმიმართული, მუხლჩაუხრელი აღმზრდელობითი მუშაობით ისეთი მტკიცე, მეგობრული პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივი შექმნა, რომ ენთუზიასტმა ხელმძღვანელმა არა მარტო დაძლია სკოლის წინაშე არსებული პრობლემები, არამედ განათლების ეს კერა მოწინავე სკოლებს შორის ჩააყენა.

ინწკირვეთის საჯარო სკოლის პედაგოგები წლებია, აქტიურად მონაწილეობენ პედაგოგიურ კითხვებსა და მასწავლებელთა კონფერენციებში. აღსანიშნავია, რომ როგორც აღმზრდელ-მასწავლებლების, ისე ეთერ ქათამაძის მიერ წაკითხული თემები ყოველთვის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. ამასთან, საკითხის ცოდნით, ავტორისეული ნააზრევითა და პირადი გამოცდილებით იყო გაჯერებული. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 2004 წელს მის მიერ წაკითხული მოხსენება თემაზე: „აქტიური სწავლა-სწავლება მშობლიური ენის გაკვეთილებზე“, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება მოიპოვა და აჭარის განათლების სამინისტროს სიგელიც მიიღო. დირექტორის დამსახურებაა, რომ სკოლაში დასაქმებული 15 პედაგოგიდან უმრავლესობა სერტიფიცირებულია.

უპრიანია ითქვას იმის შესახებაც, რომ ინწკირვეთის საჯარო სკოლაში, რიგ საგნებში კვლავ ადგილობრივი პედაგოგიური კადრების დეფიციტია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებთან საქმიანი ურთიერთობებით ეთერმა მიაღწია, რომ ინწკირვეთში ცალკეული პროგრამით რამდენიმე პედაგოგი მოევლინებინათ. პედაგოგ თამილა ლაბაძის ნოვაციამ კი კოლეგების, შემდეგ კი მასობრივი საშუალებების ყურადღება მიიქცია.

სკოლის დირექტორად დანიშვნის პირველი წლებიდან ეთერი ცდილობს ინწკირვეთელი გოგონების, კერძოდ, ვოკალურ ანსამბლ „ინწკირვეთის“ შემოქმედება, აქ დავანებული ფოლკლორი საქვეყნოდ წარმოაჩინოს, მოსწავლეთა ზნეობრივი და მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისთვის გამოიყენოს, რაშიც მასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის ხემძღვანელს, პედაგოგ ნანული ჭაღალიძეს.

ინწკირვეთის სკოლამ წამოიწყო და შემდეგ შუახევის მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებმა აიტაცეს თეატრალური დასის ჩამოყალიბება. ინწკირვეთელ მოსწავლეთა სპექტაკლმა „იავნანამ რა ჰქმნა?“ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ეთერ ქათამაძისა და ინწკირვეთელი პედაგოგების წარმატებად მიიჩნევენ იმ საქმიან, შემოქმედებით ურთიერთობებს, რაც ინწკირვეთსა და გურიის რეგიონების სკოლებს აქვთ. ეს ურთიერთობები კურორტ ბახმაროდან იღებს სათავეს. ამ კურორტის მომიჯნავედ მთა განდრეკილშია ინწკირვეთელების მთის სახლები, სადაც ყოველი ზაფხულის გარკვეულ დროს ეთერიც ატარებს.

ეთერ ქათამაძე შესანიშნავი მეუღლე და დედაა. მისი ცხოვრების ერთგული მეგზური და მოსიყვარულე მეუღლე ზურაბ შარაშიძე ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნებაა, მოსიყვარულე მეუღლეები ხარობენ კარგად აღზრდილი შვილითა და შვილიშვილებით.

ინწკირვეთელებმა კარგად იციან, ვის ხელშია მათი შვილების აღზრდის საქმე. მშობლებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობები ეთერ ქათამაძის საქმიანობის ორიენტირია. საინტერესო სიახლეებში, ინტელექტუალურ ღონისძიებებში, პედაგოგიურ კითხვაში მონაწილეობის დასტურია ის სამთავრობო ჯილდოები, სამადლობელო ბარათები, დიპლომები და საპატიო სიგელები, რომლებსაც სკოლის დირექტორის კაბინეტში საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი. აი, რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებმაც საპატიო სიგელებით აღნიშნეს ეთერ ქათამაძისა და მისი ხელმძღვანელობით სკოლის მიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული წარმატებები: საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტი, აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოება, შუახევის მუნიციპალიტეტის განათლების განყოფილება, რესურსცენტრი...

აკაკი ზოიძე,
ოთარ ცინარიძე

ვირუსები და მიოკარდიტი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ვირუსების უმრავლესობა ხასიათდება ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ქსოვილების დაზიანებით და იმუნური სისტემის დასუსტებით, რაც ფრიად ართულებს ინფექციური პროცესის მიმდინარეობას

ვირუსულ ინფექციებს ახასიათებს სხვადასხვა გართულება: პნევმონია, ენცეფალიტი, მენინგიტი, მიოკარდიტი. ამჟამად სწორედ ამ უკანასკნელზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

მიოკარდიტი ეწოდება გულის კუნთის (მიოკარდიუმის) ანთებას. მიოკარდიუმი - გულის ფუნქციურად ყველაზე მნიშვნელოვანი კუნთოვანი შრე პასუხისმგებელია ამ ორგანოს შეკუმშვა-მოდუნებაზე, რაც გულსა და მთელ სხეულში სისხლის ცირკულაციას უზრუნველყოფს. ამ დროს ანთება ორგანიზმის პასუხია დაზიანებაზე ან ინფექციაზე. ანთებითი ცვლილებები გულის ფუნქციის დაქვეითებას იწვევს: დიდდება და სუსტდება გულის კუნთი, წარმოიქმნება ნაწიბუროვანი ქსოვილი, რაც შეკუმშვის უნარს ამცირებს და გულს მეტი ძალისხმევა სჭირდება სხეულში სისხლის ადეკვატური გადასროლისთვის.

მიოკარდიუმი ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეიძლება დაემართოს: ახალშობილს, ბავშვს, მოზარდს... უფრო ხშირია ახალგაზრდებში - 30 წლამდე და სწრაფად პროგრესირებს. მამაკაცებში 2-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება. ბავშვებსა და მოზარდებში მიოკარდიტი უეცარი სიკვდილის მესამე წამყვანი მიზეზია.

მიოკარდიტის ყველაზე გავრცელებული მიზეზი ვირუსული ინფექციაა. ორგანიზმში პათოგენური აგენტის მოხვედრისას იმუნური სისტემა აქტიურდება და მის უვნებელსაყოფად წარმოქმნის გულის კუნთში ანთებითი პროცესების გამომწვევ ქიმიურ ნივთიერებებს. დაავადების გამომწვევ ვირუსებს მიეკუთვნება ენტეროვირუსი, მონონუკლეოზის გამომწვევი ეპშტეინ-ბარის ვირუსი, ციტომეგალოვირუსი, C ჰეპატიტის ვირუსი, ჰერპესვირუსი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, პარვოვირუსი B19, წითურას ვირუსი და სხვა.

ვირუსული მიოკარდიტის სიმძიმე დამოკიდებულია ვირუსის სახეობაზე, ვირულენტობასა და ტროპიზმზე.

გარდა ვირუსებისა, ვხვდებით ბაქტერიულ მიოკარდიტებსაც, რომელსაც იწვევს: ქლამიდია, მიკოპლაზმა, სტრეპტოკოკი, სტაფილოკოკი, ტრეპონემა, ბორელია. ასევე, გამომწვევად შეიძლება მოგვევლინოს სოკოები და პარაზიტები.

მიოკარდიტის სხვა მიზეზებია იმუნური რეაქცია მედიკამენტებსა და ტოქსინებზე: ჭარბ ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, მწერის, გველის ნაკბენზე, ქიმიური და რადიაციული თერაპიისთვის განკუთვნილ საშუალებებზე. მიოკარდიტს შესაძლოა წინ უძღოდეს აუტოიმუნური დაავადებები, მაგ. წითელი მგლურა ან რევმატოიდული ართრიტი და სხვა.

მიოკარდიტს სპეციფიკური სიმპტომატიკა არ ახასიათებს, ზოგჯერ უსიმპტომოდაც მიმდინარეობს. უპირატესად მაინც გრიპის მსგავსი სიმპტომებით ხასიათდება, როგორიცაა: სწრაფად დაღლა, ქოშინი, ცხელება, სახსრების ტკივილი, ქვედა კიდურების შეშუპება, მკვეთრი ტკივილი გულმკერდის არეში მხარსა და კისერში ირადიაციით, კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი, დიარეა, შარდის რაოდენობის შემცირება.

გულისმიერ სიმპტომები ვირუსულიდან 1-2 კვირის შემდეგ იჩენს თავს. მოსალოდნელია გულის რითმის დარღვევა, ზოგჯერ - გონების დაკარგვა. გარკვეული დროის შემდეგ თავს იჩენს გულის უკმარისობის სიმპტომები: ქოშინი, ჰაერის უკმარისობა, სისუსტე, ადვილად დაღლა, ქვედა კიდურების შეშუპება, გულისცემის აჩქარება.

მიოკარდიტის დიაგნოსტიკა ხდება ანამნეზის, გასინჯვის საფუძველზე, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ფონზე: ელექტროკარდიოგრაფია, რომელმაც შესაძლოა, გამოავლინოს გულის რითმის დარღვევა; სისხლის საერთო ანალიზი (ვლინდება ლეიკოციტების, ერითროციტების რაოდენობა, ინფექციური მარკერები, ანტისხეულები, გულის კუნთის დაზიანების მარკერი - ცილა ტროპონინი), ექოკარდიოგრაფია, ავლენს გულის საზღვრების გადიდებას, კუმშვადობის დაქვეითებას, სარქვლოვან პათოლოგიებს, სითხის არსებობას პერიკარდიუმის ღრუში; გულმკერდის რენტგენოგრაფია გულის ზომებისა და საზღვრების დასადგენად, ფილტვებში გულის უკმარისობით გამოწვეული შეგუბებითი ცვლილებების გამოსავლენად; გულის მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია და გულის კუნთის ბიოფსია ინფექციური და ანთებითი პროცესების დასადგენად.

მიოკარდიტის მკურნალობა მიზეზსა და სიმპტომებზეა ორიენტირებული. გულის უკმარისობის მოვლენების შესამცირებლად იყენებენ აგფ-ინჰიბიტორებს, კალციუმის არხის ბლოკერებს, შარდმდენებს. გული საჭიროებს მოსვენებას, ფიზიკური აქტიურობის შეზღუდვას. ვირუსული მიოკარდიტის შემთხვევაში ინიშნება ანტივირუსული პრეპარატები. სისტემური დაავადებების არსებობისას გამოიყენება კორტიკოსტეროიდები იმუნური სისტემის აქტივობის დასათრგუნად და გულის კუნთის დაზიანების ხარისხის შესამცირებლად.

უმკურნალებელ მიოკარდიტს შესაძლოა სიცოცხლისთვის სახიფათო გართულებები მოჰყვეს: გულის უკმარისობა, ინფარქტი ან ინსულტი, არითმია და სხვა.

თუ გრძნობთ ტკივილს გულმკერდის არეში და სუნთქვის გაძნელებას, მცირე ხნით ადრე ვირუსული ინფექცია გადაიტანეთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. ადრეული დიაგნოსტიკა დაგიცავთ სერიოზული გართულებებისგან.

გამოჯანმრთელების შემდეგ გულის ფუნქციის გასაუმჯობესებლად სასურველია მისდიოთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, შეამციროთ მარილის მოხმარება, ალკოჰოლი, აკონტროლოთ სითხის მიღება, მოერიდოთ ნიკოტინს, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას.

მიოკარდიტის ზოგიერთი ფორმა სრული გამოჯანმრთელებით სრულდება, ზოგჯერ რთულდება კარდიოსკლეროზით. ეს არის გულის კუნთოვანი ქსოვილის ჩანაცვლება შემაერთებელი, ნაწიბუროვან ქსოვილით, რომელიც გულს ეფექტურად შეკუმშვის საშუალებას აღარ აძლევს, ფიბროზული ქსოვილით ჩანაცვლება დამოკიდებულია გულის კუნთის დაზიანების ხარისხზე, რაც შემდგომში გულის უკმარისობას ან დილატაციურ კარდიომიოპათიას განაპირობებს, შესაძლოა, საჭირო გახდეს გულის ტრანსპლანტაციაც კი. განმეორებითი მიოკარდიტის რისკი არ აღემატება 10-15%-ს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/03/22, 20 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ხუმრობა არაა, სცენაზე გაახმოვანო შენი წინაპრების ტრადიციები, რომლითაც ასე ამაყობ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული „აჭარული საუნჯის“ მეოთხე ტომი ქედის რაიონს ეძღვნება. „აჭარასთან“ საუბრობს მისი შემდგენელი ლია მახარაძე

- აჭარა თავისი დიდებული წარსულით ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოსი. ამაზე მეტყველებს როგორც ქედის სოფლებში დაცული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ასევე, აქ შემორჩენილი ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები. მათ ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიაქციეს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები იყვნენ ფოლკლორის პირველი შემკრებნი. განსაკუთრებით ვემადლიერებით ხარაულას საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ქეთევან საფარიძეს, რომლის მიერ შეგროვებული მასალა აჭარული ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშებია. მომდევნო ეტაპი ამ მასალების უცვლელად გადატანა და დაარქივება იყო, შემდგომი საფეხური - მასალის პოპულარიზაცია, კორექტირება და დასაბეჭდად სპონსორების მოძებნა. ასე მივადექით ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. სწორედ მათი დამსახურებით მიიღო წიგნის სახე იმ მრავალწლიანმა შრომამ, რომელსაც ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეგროვება, მოვლა და პატრონობა ჰქვია. კრებულში შესულია ქედის მუნიციპალიტეტში 1977-2016 წლებში სკოლის მასწავლებლების, რაიონული კულტურის სახლისა და კულტურის ცენტრის მუშაკების მიერ მოპოვებული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

- სპეციალობით პედაგოგი, აქამდე მსგავსი ძიებით თუ იყავით დაკავებული?

- საქმე, რომელსაც მე ჩემს კოლეგებთან ერთად შევეჭიდე, დიდ პასუხისმგებლობასა და სიფრთხილეს მოითხოვს. ერთ ნებისმიერ ინტერპრეტაციას შეუძლია დაუკარგოს მასალას პირვანდელი სახე. სწორედ ამას გვასწავლიდნენ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები. მე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 1983-1988 წლების კურსდამთავრებული ვარ. პირველი კურსიდან მეორეზე ისე ვერ გადახვიდოდი, თუ არ გექნებოდა ზეპირსიტყვიერებაში საველე პრაქტიკა გავლილი. მეც ბედმა გამიღიმა და 1984 წელს 34 დღით ვიყავი ფოლკლორულ ექსპედიციაში საქართველოს ულამაზეს კუთხეში - რაჭაში, ონის რაიონში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ჩემი სათაყვანებელი პროფესორი შუშანა ფუტკარაძე. მახსოვს პირველი შეხვედრა რესპონდენტებთან სოფელ უწერაში - ანდაზები ჩავწერე. ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ სამუშაოდ ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში გამანაწილეს, სადაც უაღრესად გულთბილი და ენაწყლიანი ხალხი დამხვდა. საოცარ ზეპირსიტყვიერ ნიმუშებს ვისმენდი და მათი ჩაწერის სურვილი გამიჩნდა. ასე დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში ფოლკლორული მიმართულებით. რამდენიმე წლის შემდეგ მუშაობა დავიწყე ქედის მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონულ სახლში ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელად.

მოსწავლეებთან ერთად დაბის მახლობელ სოფლებში გავდიოდი და ვიწერდი მასალებს, რომლებსაც ვახარისხებდით ჟანრებად, ვაარქივებდით, ნაწილი გაგვქონდა მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადებსა და ტურებზე. 2007 წელს, მოსწავლეთა რაიონული სახლი, კულტურის სახლი, ცენტრალური ბიბლიოთეკა და საბავშვო ბიბლიოთეკა გაერთიანდა და შეიქმნა ახალი ორგანიზაცია - ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“, სადაც დავიწყე მუშაობა ფოლკლორის დარგის მთავარ სპეციალისტად. კულტურის ცენტრის დირექტორმა შორენა კარანაძემ განაცხადა, რომ ცენტრის მუშაობაში პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო ფოლკლორული მიმართულება. ამაგს ვერ დავუკარგავ ყოფილ და ახლანდელ დირექტორებს ვაჟა ბალაძეს, როსტომ შერვაშიძეს, ჯამბულ სურმანიძეს და მის მოადგილეს ირაკლი სირაბიძეს. გავედით ქედის მუნიციპალიტეტის 64 სოფელსა და დაბაში. საოცარი შედეგი მივიღეთ. გადავწყვიტეთ წიგნად გამოცემა. 2012 წელს გვეწვია ზეპირსიტყვიერების დარგის ქომაგი ეთერ თათარაიძე. აღმოჩნდა, რომ კულტურის ცენტრებს შორის მთელს საქართველოში პირველები ვიყავით, ვინც ამ მიმართულებით მუშაობდა. მან გადაიღო რამდენიმე ნიმუში, რომელიც წაიღო საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ფოლკლორის განყოფილებაში და შედეგმაც არ დააყოვნა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განთლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სტუმრად მყოფმა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა სთხოვა მინისტრ გიორგი თავამაიშვილს განეზოგადებინა ჩვენი მუშაობა, რათა ამ საშურ საქმეს აჭარაში არსებული ყველა კულტურის ცენტრი შესდგომოდა. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მოთხოვნებში ჩაემატა კიდევ ერთი კატეგორია - შემკრებნი. ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებაში წვლილი მიუძღვის ფოლკლორის დარგის მთავარ სპეციალისტს ლეილა ბეჟანიძეს, რომელიც მოპოვებულ მასალას ულამაზესი კალიგრაფიით წერს და აარქივებს, თავადაც მონაწილეობს ექსპედიციებში. 2014 წელს დაარქივებაზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ საკმაო მასალა მქონდა საქორწინო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით. გამიჩნდა სურვილი, გამეკეთებინა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ინსცენირება „აჭარული ქორწილი“. გადაწყდა, ინსცენირება შექმნილიყო ძირითადად მერისში ჩაწერილი ნიმუშების მიხედვით, რადგან ეს ისტორიულად უძველესი ხეობა თავის წიაღში მოიცავს სამი რელიგიის - წარმართობის, ქრისტიანობისა და მუსულმანობის საუკეთესო ნაზავს, რაც საკმაოდ ავთენტურია. 2014 წლის 24 დეკემბერს ქედის კულტურის ცენტრში დაიდგა ეს ინსცენირება, რომელზეც მოვიწვით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე და ამ დარგის სხვა სპეციალისტები. ბატონმა როინმა შემოგვთავაზა, მოპოვებული მასალები გაგვეცნო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მუშაკებისათვის შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. ურთიერთობაც შედგა - მასალები დამუშავდა, დახარისხდა და კვლევითი ინსტიტუტის შუამდგომლობით, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტმა თავის გამომცემლობაში 2018 წელს დაგვისტამბა წიგნი „აჭარული საუნჯე“, ტომი IV, „ქედის მასალები“, რომლის წარდგენაც პანდემიის გამო ვერ შედგა. ამ ღონისძიების გამართვას მალე შევძლებთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთით მადლობა გადავუხადო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, მათ შორის, ჩვენს თანარაიონელს, ბატონ ედუარდ ანანიძეს, რომელსაც ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის წიგნის აკინძვა-დაკაბადონებაში. მასალებზე მუშაობა ახლაც გრძელდება და იმედია, ახალი წიგნიც გამოიცემა.

- წარჩინებულ სტუდენტს, სახელობით სტიპენდიატს, მეცნიერულ ასპარეზზე დარჩენას გთავაზობდნენ. თავი რატომ შეიკავეთ?

- 17 წლისა ვიყავი, ინსტიტუტის კარები რომ შევაღე. პირველივე კურსიდან ჩავეწერე „დამწყებ მწერალთა წრეში“ (ხელმძღვანელი - პროფესორი ნელი დუმბაძე). გამოვცემდით ხელნაწერ ალმანახ „მაჭახელას“. რადგან ლექსების წერასთან ერთად, კარგად ვხატავდი და მქონდა ლამაზი კალიგრაფია, დამნიშნეს „ალმანახის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. ვამაყობ იმით, რომ 5 წლის განმავლობაში მოვხატე ყველა ფურცელი, ჩავწერე მალხაზ ჩოხარაძის, იოსებ სანიკიძის, მალხაზ ბალაძის, ჩემი - რუსუდან შოვნაძის, ეთერ ბალაძის, ნაზი ხიმშიაშვილისა და კალამს შეჭიდებული კიდევ უამრავი სტუდენტის ლექსი, ნოველა, ჩანახატი, მოთხრობა; ვარ „სტუდენტური დღეები-2007“-ის მხატვრულ-შემოქმედებითი კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი ნოველით „ღალატი“, ვიყავი ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო წრეების წევრი და სტუდენტური დღეების არაერთგზის გამარჯვებული. დაჯილდოებული ვარ ბათუმის საქალაქო კომიტეტისა და ინსტიტუტის დიპლომებით მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ინსტიტუტის ცხოვრებაში აქტიური საქმიანობისათვის; ვიყავი კომკავშირის სახელობის სტიპენდიატი. ყველა ფიქრობდა, რომ ასპირანტურაში ჩავბარებდი და სამუშაოდ დავრჩებოდი ჩემსავე ინსტიტუტში, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი წარჩინებით დავასრულე. სპეციალობით ვარ ისტორიკოს-ფილოლოგი. მთელი ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თემებს ვამუშავებდი ისტორიის, კერძოდ, არქეოლოგიის მიმართულებით (მეცნიერ-ხელმძღვანელი ამირან კახიძე), მაგრამ ბოლო კურსზე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა (დავით ხახუტაიშვილი, ნოდარ კახიძე, თემურ აჩუგბა) გადაწყვიტეს, რომ შემეცვალა მიმართულება და მემუშავა ეთნოგრაფიაში (ხელმძღვანელი - ნუგზარ მგელაძე). დროებით დავიწყე მუშაობა კვლევით ინსტიტუტშიც, მაგრამ კურსის დასრულებისთანავე სამუშაოდ წავედი ქედის რაიონის ოქტომბრის საშუალო სკოლაში. მაშინ ასპირანტურაში, რომელიც თბილისში იყო, ვერ ჩაბარებდი დიპლომის გარეშე, დიპლომს კი მხოლოდ ერთი წლის მუშაობის შემდეგ გვაძლევდნენ. დავიწყე მზადება თემისათვის „ძველი აჭარული ოჯახი მერისის ხეობის მასალების მიხედვით“. მჭირდებოდა ასევე საველე პრაქტიკის გავლა ეთნოგრაფიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამბები დაემთხვა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას საქართველოში, შემდგომ - განუკითხაობის წლებს. ძირითადად ეს იყო ის ობიექტური მიზეზები, რომელმაც წერტილი დაუსვა ჩემს სამეცნიერო კარიერას. 1990 წელს გავთხოვდი ქედაში და საბოლოოდ მივეჯაჭვე ოჯახს.

- ოჯახის როლი თქვენს ცხოვრებაში?

- ოჯახი მერისელ ზურაბ თურმანიძესთან ერთად შევქმენი, რომელიც სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსია. ის წლების განმავლობაში მუშაობდა ქედაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ორი ვაჟი გვყავს - ზაზა და თენგიზი. ზაზა მეზღვაურია, კაპიტნის მეორე თანაშემწე. მისი მიზანი შორეული ნაოსნობის კაპიტნობაა და ამ მიზნისაკენ ნაბიჯნაბიჯ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 31 წლისაა. ძალიან კარგი ხელოვანია. მენანება ამ ნიჭის ზღვაში „გადაყრა“, მაგრამ ეს მისი არჩევანია. ჰყავს მეუღლე ანა ხიმშიაშვილი. ის ჩემთვის რძალი კი არა, ქალიშვილია, რომელიც უფალმა არ მაჩუქა. თენგიზიც ბათუმში ცხოვრობს. ჰყავს იმერელი მეუღლე მარი უგულავა, რომელიც ჩემი მეორე ქალიშვილია.

- საზოგადოება დეკლამატორად, ღონისძიებების ორგანიზატორად გიცნობთ...

- მეშვიდე კლასში ვიყავი (დავამთავრე ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საშუალო სკოლა), როცა ქართულის ენის მასწავლებელმა რუსუდან ბოგვერაძემ აგვიხსნა ხალხური „ვეფხისა და მოყმის ლექსი“. რაღაცნაირი, განსხვავებული ინტონაციით წაგვიკითხა და... აქედან დაიწყო ჩემი დეკლამატორობაც. რეჟისორობა კი ჩემს ფილოლოგობასა და წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულზეა დაფუძნებული. წარმოდგენებს ბავშვობიდანვე ვმართავდი. ჩვენ ექვსი და-ძმა ვართ. ვთვლი, რომ ყველაზე მეტად ამ საქმეში გამბედაობა მეხმარება, რადგან აუდიტორიის წინაშე წელგამართული დგომა გამბედაობას, კარგ მეგობრებსა და ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს.

- სპეციალობით მუშაობის ჯერი რომ დადგეს, რა არჩევანს გააკეთებდით?

- მე ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვრჩები იმ აზრზე, რომ ვარ პედაგოგი. 2019 წელს წარმატებით ჩავბარე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. იმავე წელს გავიარე 60-კრედიტიანი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ხიჭაურის უნივერსიტეტში და მომენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა, ჯერჯერობით, ამ სტატუსით არ ვმუშაობ.

- რომელი ქართველი მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემელი ხართ?

- კონსტანტინე გამსახურდია მიყვარს ძალიან.

- „აჭარული ქორწილის“ გარდა, სხვა რიტუალებზე თუ გიმუშავიათ?

- ეს დადგმა ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. ხუმრობა არ არის, სცენაზე გაახმოვანო იმ შენი წინაპრების წეს-ტრადიციები, რომლებითაც ასე ამაყობ და მარტო აჭარაში კი არა, თბილისსა და ინეგოლში, ჩვენებურებთან ჩაიტანო და გააცნო. 2019 წელს რეჟისორ გია დიასამიძესთან ერთად, ჩვენი მასალების მიხედვით, გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი „სახრვა“, რაც ძველი ქართული ტერმინია და ლოცვას ნიშნავს. მე და ფოლკლორის დარგის მთავარმა სპეციალისტმა ლეილა ბეჟანიძემ გადავწყვიტეთ, ფოლკლორის ფესტივალი ჩავატაროთ ქედაში, ჯერ რეგიონის მიხედვით, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით.

- გაზაფხულის დღესასწაულებს პირველად ვინ გილოცავთ?

- რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩემს რძლებს ვერავინ ასწრებს.

- მეგობარი, რომელიც გაჭირვების ჟამს გვერდით დაგიდგათ?

- რამდენიმე მეგობარი მყავს. მათ შორის გამოვყოფდი მეუღლეს, რომელიც მეგობარიცაა. ერთგული მეგობრებია უმცროსი დები, რომლებიც ყველა გაჭირვების დროს დღემდე გვერდით მიდგანან. სანიმუშო მეგობარი, პედაგოგი მერი დიასამიძე, პანდემიამ წამართვა. ეს იყო უდიდესი ერუდიციის ქალბატონი, რომელიც არა მარტო თავის ოჯახს, არამედ მთელ ქედას დააკლდა.

- ვის თვლით სიკეთის განსახიერებად?

- ვთვლი, რომ ასეთი ადამიანი ბაბუაჩემი იყო, რომელიც 107 წლის ასაკში გარდაიცვალა. უტკბესი, მზრუნველი, 13 შვილის მამა. მან გვასწავლა ერთმანეთის სიყვარული, თანადგომა, შრომის სიყვარული, მოთმინება. ის 1871 წელს იყო დაბადებული. კარგად ახსოვდა ზაქარია ჭიჭინაძის მოსვლა ქედაში (ჩვენები მაშინ ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში ცხოვრობდნენ). ის მას ზექერიას ეძახდა. მომსწრე იყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომისა, მუჰაჯირობისა.

- მერისელების რძალს მათი ხელოვნებიდან რა მოგწონთ?

- ჩემთვის უდიდესი პატივია მერისელების რძლობა. ეს ის ხალხია, რომელიც სტუმარსაც მოალხენს და თავადაც მოილხენს. მათ ცხოვრებაში სიმღერას უდიდესი ადგილი უჭირავს. ესაა მათი სიხარულისა და ჭირის თანმდევი. ცეკვა, სიმღერა, შაირობა თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩვენს ქორწილში „მერისულ მაყრულს“ მთელი სოფელი მღეროდა. სიმღერას ჩვენს ოჯახში დიდი ხნის წარსული აქვს. გვქონდა გიტარა, ფანდური, რომელზეც ექვსივე და-ძმა ვმღეროდით. ცეკვაზეც დავდიოდი საშუალო სკოლაში.

- ხელოვანი, რომელსაც აღმერთებთ?

- ჰამლეტ გონაშვილი.

- რომელ ჯილდოსთან ან გრანტთან გქონდათ წვდომა?

- 2014 წელს, თანამშრომლებთან ერთად, მოვიპოვეთ 6000-ლარიანი გრანტი პროექტით „ტიხრული მინანქრის დამამუშავებელი სკოლა-სახელოსნო ქედაში“. 2018-2020 წლებში შევქმენი სოციალური პროექტი ჭიბონის დამამზადებელი ოსტატებისათვის ცხმორისსა და სოფელ დანდალოში, რომლის მიზანი იყო ჭიბონის დამამზადებელი ოსტატ-შემსრულებელი მოსწავლეების გამოზრდა-დახელოვნება (8000 ლარი); 2020 წელს ქედის კულტურის ცენტრისათვის შევქმენი პროექტი „ხარისხზე ორიენტირებული შედეგი“ 60000 ლარის ფარგლებში. ჯილდოებიდან კი გამოვყოფდი 2016 წლის საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე რუსთაველის თეატრში გადმოცემულ ჯილდოს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ინსცენირებისათვის „აჭარული ქორწილი“.

- ქედელისთვის ყველაზე ღირსეულ ჯილდოდ რას მიიჩნევთ?

- ეს „საპატიო ქედელის“ წოდებაა.